

კაჟა ეტვისელი

კლასური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 16

2020



მთ. რედაქტორი

**სოსო სიბუა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
სახელმწიფო პრემიის  
ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-823-6 (16 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიტუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმინდება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნინერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრემიანდის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნინერო აკადემიის ვიცე-პრემიანდის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს სა-პატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტო-მეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხუ-რი უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდი-ანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგი-ური, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხე-თის) სამრ(ო-სამმართველო) აკადემიის სამრ(ო) კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთ-ხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დელვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვინიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი ახრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ვბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდალული ისტორია, რაც კოემერსიონან მოყოლაგული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დელაგიწაზ...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟაი მიწვლია... მათ იცინან იმ ოქმება დელაგიწვის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„ბულცინვალ უმხვლი ყოველ ძეგას, ყოველ  
ძაბეგას.“**

**ა. პუშკინი**

**წინასიტყვაობის მაბიერ**

**(გაგრძელება)**

„...როგორ იქნება ვაჟა ეგრისელის ათასგვერდია-  
ნი წიგნი გადაშალო და შთამბეჭდავმა მეტაფორებმა,  
ხატოვანმა თქმებმა, მშობელი ცისა და მიწის თვალ-  
მარგალიტებმა არ გაზიარონ ჭეშმარიტ პოეზიას:  
„ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს“. (ევეგენი აქუ-  
ბარდია, მწერალი.)

ისიც ნიშანდობლივია, რომ ფაზისის უძველესმა  
აკადემიამ, თავისი აკადემიის პოეტ-აკადემიკოსსა და  
დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ორგანიზა-  
ციის თავჯდომარეს, „კოლხური უსაღმუნების“ და  
ზღვისადმი მიძღვნილი ათასობით ბრწყინვალე ლექ-  
სის ავტორს, ბატონ ვაჟა ეგრისელს, დაბადებიდან  
60 წლისთავთან დაკავშირებით საჩუქრად მიართვა  
ხომალდ „არბოს“ – უძვირფასესი მაკეტი წარწერით:  
„სიცოცხლეშივე ქართველი ერისა და მისი ძირძვე-  
ლი მხარის – სამეგრელოს უკვდავებად ქცეულ ლე-





გენდას, ილია ჭავჭავაძისეულ უმტკიცეს ბურჯს, აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელ სიმს, ჭეშმარიტ ცოტნიედელს, „კოლხური ფსალმუნებით“ – დედა საქართველოს მესობტბეს, დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს საფიცარ მეგობარს – ბატონ ვაჟა ებრისელს.“

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიისაგან,  
ზურგის ქარის გულწრფელი სურვილით.  
ქრისტეშობითგან 2001 წლის 15 მაისი  
თბილისი – ფაზისი – ხობი.

აქვე არ შეიძლება არ მოვიტანოთ რამდენიმე მეცნიერისა და მწერლის მოსაზრება ვაჟა ეგრისეელის პოეზიაზე: „...ვაჟა ეგრისეელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისეელის პოეზია XXI საუკუნის რიჟრაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია“.

აკაკი გაწერელია  
პროფესორი, ლიტერათმცოდნე,  
პროზაიკოსი. სტატიიდან:  
„კოლხური ფსალმუნების გამო“.



„საქართველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყველა შემთხვევაში, საქართველო სავსეა – სემი პოეტებით“ მაინც (**semi-poeta** – „ნახევარ პოეტი“ – დიდმა პოეტმა ჰორაციუსმა რომ სთქვა ორიათასი წლის წინათ). ხოლო ‘პოეტი სრული“ – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა – ვაჟა ეგრისელი. ამაში კვლავ დამარწმუნა მისმა ახალმა, ტანოვანმა ლექსთა კორპუსმა, შესაფერისად და შესატყვისად მქუხარე სახელით:

„იქმენ ნათელი!“

ასეთი წიგნი – თვითონ ავტორის სტრიქონები რომ მოვიშველით: „ისტორიის ვრცელ მინდორზე არასოდეს დადუმდება...“ ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად დიდი პოეტია“.

*ლევან ხანიკიძე, მწერალი.*

„...პოეტის ნაფიქრ – ნააზრევ – ნაძერწის კომპაქტურობას ხელს უწყობს ლექსის მცირე ფორმა, მცირე ფორმაში მოქცეული იმპრესიონისტური ხედვა მოვლენებისა, რაც სხვა პოეტის მიერ მოვლენის აღქმაში არასოდეს არ აგერევა. ეგრისელის პოეტური სტრიქონი ვერ ეგუება უცხო სხეულს, ერთხელ უკვე ნათქვამის განმეორებას, საიდანღაც მოტანილ რემინისცენციებს. ის თავისთავადია და არც თავის მხრივ შეიძლება იქცეს სხვა პოეტის ლექსის შემად-



გენელ ნაწილად, რადგანაც მას თავისი შემქმნელის განუმეორებელი ბეჭედი აზის...“

*რევაზ ჯაფარიძე, მწერალი.*

„...თითქოს შეუძლებელი იყო პოეზიაში დღემდე უცნობი და ორიგინალური წვლილის შეტანა, მაგრამ ჩვენდა გასახარად, გამოჩნდა სრულიად უნიკალური შემომქმედი პოეტი – ვაჟა ეგრისელი, რომელმაც თავისი ლექსებით, ჩემი აზრით, გადატრიალება მოახდინა ქართული ლექსის ისტორიაში.

...ვაჟა ეგრისელის სახით ჩვენ მეორე ვაჟა გვყავს და XXI საუკუნეში მრავალი წიგნი მიეძღვნა მის პოეტურ სამყაროს, რადგან მეტაფორის გარეშე ლექსი, პოეზია არ იქნებოდა მიმზიდველი და ამამაღლებელი ადამიანური გრძნობებისა...“

*ჯიბო ლომაშვილი*

ვაჟა ფშაველას საზოგადოების  
თავჯდომარე, პროფესორი.

„ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად ჩაწვდა კოლხურ სულს, მისი „კოლხური ფსალმუნები“ მეტანიით (მუხლმოყრით) არის წასაკითხი.“

*გიორგი ჯავახიშვილი,*  
პროფესორი.



„...აღმოსავლეთ საქართველოს ჰყავდა ვაჟა  
ფშაველა, დასავლეთ საქართველოს ჰყავს ვაჟა  
პბრისელი... ერთიანი, მთლიანი საქართველო, ბუნე-  
ბის მომდევრალი, ორი დიდი მგოსნის მშობელია...“

*თეიმურაზ მიბჩუანი,*  
აკადემიკოსი.

„...მიხარია, რომ მეოცე საუკუნეში, ვაჟა-ფშავე-  
ლას მერე, ბუნებისა და სამყაროს თავისებურად აღ-  
ქმელი, კიდევ ერთი დიდი პოეტი შეემატა ქართველ  
მწერალთა რიგებს...“

...რაც დრო გავა, უფრო მეტი ბრწყინვალება მო-  
ემატება მის პოეზიას, როგორც ამომავალ მზეს...

...ვაჟა ეგრისელის შემოქმედება ჰგავს მაღალი  
მთიდან გადასახედს მ ო მ ა ვ ა ლ უ ო...“

*ალექსი რაზიკაშვილი*  
ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი,  
ჩარგალი.

ძვირფას მკითხველს ბოდიშს მოუხეხი ზემოთ  
მოტანილი ვრცელი ამონარიდებისათვის, რომლებიც  
დაბეჭდილია საქართველოს ეროვნული აკადემიის  
მიერ 1999 წელს გამოცემულ წიგნში: „ქართველი და  
უცხოელი ავტორები ვაჟა ეგრისელზე“.



ისე როგორც დიდი ვაჟა ფშაველა იყო ფასდაუდებელი რელიქტი „უკანასკნელი პოეტი კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვობისა“. (რალფ ემერსონი). ასევე ვაჟა ეგრისელი კაცობრიობის რჩეულ პოეტთა თანავარსკვლავედში იკიაფებს როგორც ქართული პოეტური გენიის რელიქტი.

ძნელია თავი შეიკავო აღტაცებისაგან, როცა მისი პოეტური სამყაროს კალეიდოსკოპში შეიხედავ, აღტაცება ყოველთვის დაუსრულებელი ეპითეტების მშობელია. ვაჟა ეგრისელი მთლიანად დიადი და ამადლებულია თავისი პოეზიით, ზღვის საგალობლებით. ვიმეორებ, იგი ნამდვილი ზღვის პოსეიდონია, რომელმაც ზღვათა პოეზიაში დღემდე არნახული პოეტური სამყარო შექმნა.

„...ვაჟა ეგრისელმა წინ დაგვიდო ფასდაუდებელი წიგნი – კიდობანი („იქმენ ნათელი!“) ახალადმოჩენილი მარგალიტებით სავსე... მიხარია, რომ პოეზიის ლაქვარდოვან ცაზე კიდევ გაჩნდა ვაჟა“... (გიორგი წერეთელი, პოეტი.)

ვაჟა ეგრისელმა განუმეორებელ ფერწერულ, პოეტურ ყალიბში ჩამოაქანდაკა ბუნების საკვირველი სილამაზე, – აამეტყველა ზღვის ჯადოსნური სამყარო და მთელი სულით და ხორციით ზღვას შეერწყა. ზღვა პოეტის ტკივილია, ზოგჯერ პოეტის რწმენით, სიმართლეს ძაღმომრეობა აკანონებს და არა გონივრული საწყისი. თავსატეხი და თავსამტვრევი ჰამლე-



ტისებური ყოფნა-არყოფნის პრობლემა, რომელმაც უთვალავ გენიოსთა სიცოცხლე შეიწირა. ვაჟა ეგრისელსაც აწუხებს ეს მარადიული თემა. ტანჯავს, გადააქვს თითოეულ შედეგრში და გვერდით უდგება ხალხთა ბედნიერებისათვის თავშეწირულ რაინდებს, რამეთუ მართლაც:

„იდუმალების შორეული  
რეკენ ზარები  
და მიღვიძებენ  
მძინარ ჭრილობებს.  
ფიქრები დღეებს  
აზანზარებენ  
და სივრცეებში ფრთებს შლიან და  
კვლავ ყვავილობენ.  
მიხმობენ მთები:  
წყურვილი გვკლავს  
და ვიტანჯებით.  
ტირიან ზღვები: ჩვენ კი დღევა  
გვახრჩობს რა რჯული.  
შველა არ ძალმძის,  
მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებით  
საქართველოს ცას ვარ მიჯაჭვული“.

ზღვა და მისი ყოველი მოვლენა პოეტს კანონ-ზომიერად მიაჩნია, მაგრამ ზოგჯერ ამოუხსნელი მო-



ულოდნელობებით გაოცებული ეჭვის თვალით უყურებს და მასაც შეუძლია თქვას:

„აღმოსავლიდან,  
ვიდრე დასავლით,  
მოოქროვილა ცა ვარსკვლავებით,  
არ ჩავარდება ნემსი,  
ვით ეს ქართულ ცას მოდგამს.  
და სადღაც შორით,  
მესმის, არც მესმის,  
ზღვის ზღუქუნი და ქარების მოთქმა“.

მაგრამ ეს წუთიერი წუხილია. ზღვის სიმშვენიერით ტკობა მას ამქვეყნიურ ყველაზე დიდ ნეტარებად მიაჩნია და როგორც ზღვის მესაიდუმლე ამ გრძნობას გულთმისანის დაფარული სიხარულით ატარებს. პოეტის ზღვა და გრიგალები დაიმახსოვრებენ მის თავგანწირვას და სიყვარულს. დიახ, უამთა დინებაში ისინი იქნებიან პოეტური ჩანგის ამაღლების მოწმენი:

„დღეთა ცერზე მჯდარს,  
როგორც მიმინოს,  
ცათა და ზღვათა მარად მოლაშქრეს,  
ღვიძლ შვილს,  
გერად მთვლის,  
წუთისოფლის ნელი მდოვრება.“



არაუშავს რა,  
ჩემი ჩანგი

უამთა ქროლაში –  
ზღვაში გრიგალებს,  
ცად ვარსკვლავებს ემახსოვრებთ“.

ვაქა ეგრისელი, ზღვისა კი არა, თითქოს ზღვა-  
თა თავყრილობის თანამონაწილეა, მათი უცნაური  
ზნის, მათ მიერ ჩადენილი დალატის მამხილებელი,  
მან კარგად იცის რომ

„დალატი იცის ზღვის  
გულ-ღვიძლმა  
მისი სივერაგე  
არ აწყულა,  
ახლაც მომეგება და მომხვია  
ყელზე  
ტალღების აპეური.  
მერე ქარის ცრემლებით  
დამარწყულა,  
შფოთით და ღელვით დამაპურა“. –

ამბობს პოეტი და ძალუმად გრძნობ, რომ მარ-  
თლაც ზღვას სივერაგეც და ბოროტებაც ბევრი მო-  
აქვს და ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად ისმის  
პოეტის ფრაზა: “შფოთით და ღელვით დამაპურა“.





ზღვა პოეტის სიცოცხლის მარადიული სიმბოლოა. იგი უცნაური ძალით განიცდის ზღვას და მის სტიქიებს. ამიტომაც არ შეიძლება გულგრილად წაითხო პოეტის სტრიქონები:

„მამლის ყივილზე გამთენიისას  
ამოვარდნილა ქარი წყეული,  
და რა ლამაზად,  
რა დიდებულად  
ზღვა და ხმელეთი წაკიდებულა  
და ათასფერად ცა დამსხვრეულა“.

ასეთი შინაგანი ძახილი არაა პოზიორული მანერა. ის ჭეშმარიტი დიდოსტატის ფაქიზ სულზე მეტყველებს, რომელმაც ეს სიყვარული დიდი წარსულის საფასურად მიიღო და არ შეიძლება ასეთ პიროვნებას დიდი ტკივილების შეგრძნებაც არ აწუხებდეს.

„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას“ – ამბობდა იაკობ გოგებაშვილი. მართლაც რა დიდებული გზაა „იქმენ ნათელიდან“, „კოლხურ ფსალმუნამდე“ ძლიერი წინსვლაა იმ ადამიანისა, რომლის არსებაც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითაა გასხივონებული. ვაჟა ეგრისელის „სიყვარულით შემოღობილი კარმიდამო“ ღიაა ყველასათვის, ვისაც გულით



უყვარს ადამიანი, უყვარს მამული, უყვარს მთელი სამყარო.

დიახ, პოეტისათვის სამშობლო წარმოადგენს საკურთხეველს, რომელიც შემოქმედისაგან ყოველდღიურად ითხოვს შესაწირავი სიტყვის ზვარაკს, ყოველდღიურად მოვევლინება იგი პოეტს, როგორც მორული ხილვების ზენაარი და იზიდავს თავისკენ.

ასეთი ლექსები 10000 ლექსის დამტვე „კოლხური ფსალმუნების“ კიდობანში მრავლადაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი პოეტის შემოქმედებაში შეიძლება გამოიყოს სიტყვათა ისეთი შრე, რომელიც საფუძვლად უდევს მისი მხატვრული სამყაროს გამორჩეულად შთამბეჭდავ ქმნილებებს და შთაგონების იმ სტიმულს წარმოადგენს, საიდანაც იწყება თვითმყოფადი აზრის დინება. სწორედ მეტაფორა რეალურ დეტალთან ერთად წარმოადგენს საგნის ცოცხალსა და მკაფიო გამოსახვის უტყუარ საშუალებას.

და მართებულად ბრძანებს პროფ. კოტე მელაშვილი: 'მხატვრულ სახეთა სიუხვე პოეტის შემოქმედებითი თავისთავადობის უპირველესი მახვენებელია, ამ მხრივ ვაჟა ვგრისელს დღეს ბადალი არა ჰყავს.

მხატვრულ შემოქმედებაში ყოველთვის კონკრეტულობაა წარმოდგენილი თავისი მრავალსახეობით, საძიებელი კი ზოგადია. ამაშია კონკრეტულობისა



და ზოგადობის თანაფარდობის ერთ-ერთი კანონზომიერება პოეზიის სფეროსთვისაც.“

„...ვაჟა ეგრისელმა ლექსებით კი არა, ახალი სიტყვით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა“. (აზ-თანდილ არაბული, პროფესორი.)

სიტყვაკაზმული მწერლობა როგორც გზა, ბილიკია – სიყვარულის, მიმნდობილობისა და შემწყნარებლობისაკენ, ხელოვნების განმათავისუფლებელი ძლევამოსილება საერთოდ ადამიანის ხუთივე გრძნობის სვეტზეა აღმართული. ვაჟა ეგრისელს ყველა ეს გრძნობა ღვთიურად აქვს გამახვილებული, გაფაქიზებული. ამიტომაც მისი მეტაფორული აზროვნება ერთდროულად ამალღებულიცაა და ზღვისაგან განუყოფელი.

„მე ჩემმა ბედმა თუ უბედობამ  
ზღვის სიყვარული  
მოსვლის დღიდან  
თავს დამარისხა  
თუმც არაფერი არ დავუშავე.  
ასე მგონია,  
როს მოკვდები,  
ჩემი შავი ზღვა  
ტანზე ჩაიცვამს მწუხარებას უფრო უშავესს“.

ლექსი რიტმისა და პოეტური აზრის მოძრაო-



ბის პლასტიკური შერწყმაა. იგი აღსავსეა შინაგანი დაფარული ვნებებით. იგი ისეთივე ადამიანური საოცრებაა, როგორც მუსიკა და ფერწერა. ვაჟა ეგრისელის ლექსები სწორედ იმიტომ არის განუმეორებელი, რომ გალექსილი ამბები კი არაა, არამედ პირიქით, სწორედ ლექსებიდან იბადებიან დიდებული აზრები:

„დასავლეთის ცამ ჭიქა-წყალივით  
ბოლომდე შესვა მზე  
და მზის სხივი  
და მოულოდნელ მეხის ძახილზე –  
უეცრად წასკდა წვიმა სისხლივით.  
ღურჯი ტალღები,  
მწუხრისფერმა ღელვამ შებურა  
და თოლიების  
უდარდელი შეწყდა ფლეიტა.  
ზღვა ქარის რაშზე ამხედრებული,  
ნაპირს მოადგა...  
მერე უცებ ჩამოქვეითდა“.

ეს სტრიქონები ზღვაში წვეთია გენიალური მეტაფორებისა რომლებიც სარკესავით ირეკლავენ დიდი პოეტის სულს. ვაჟა ეგრისელის დიადი აზრებითა და ზღვისადმი გასაოცარი გრძნობით შეიქმნა ასეთი თავბრუდამხვევი სახეები:



„ტალღებს აღვიძებს აფრის შრიალი  
და ზღვა ასაფრენ ყანჩასაყით  
ისევ წრიალებს...  
და ვით მარცვალი ღვარძლის და  
იფქლის,  
სიბნელე ფრთებით დააქვთ ღამურებს.  
ღუმილის მძიმე ფეხის ხმაზე  
ირხევა ფიქრი,  
ვითარც ლერწამი სასაღამურე“.

შინაგანი დინამიზმის იმპულსს, რომელსაც კარგად გრძნობს პოეტი, ღუმილის ატმოსფეროს განცდამდე მიჰყავს და ასეთ წუთებში ის აცნობიერებს სამყაროსთან ფარული დიალოგისა და დაფარული საიდუმლოს წვდომის მისნურ ინსტიქტს. ამ გუმანი-თაა დაწერილი ლექსები: „ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა“, „თეთრი ღრუბლები სდუმან ზღვების მღელვარ სიშორეს“, „ფიქრები“ და სხვა. ამ ლექსებში პოეტი მიისწრაფვის სულიერი ცხოვრების იმ მომენტების წვდომისაკენ, რომელიც დაკავშირებულია თვით-ჩაღრმავების სფეროსთან, რასაც მოაქვს ხილვა, სულიერი ექსტაზი, შინაგანი წვა და განათება. პოეტი მთელი არსებით მიისწრაფვის სინათლისაკენ. ფრენა სწადია და ამიტომაცაა, რომ ეზმანება „ფეხისწვერებზე შემდგარი ზღვა“.



ლექსში „ამ ყურედან“ არის ასეთი ხილვა – სურათი:

„დღისა და ღამის  
ფრთების ფათქუნით,  
უხსოვარ დროში  
ჩემს კოლხეთში ზღვა მოფრენილა  
და ჰა,  
მას შემდეგ  
იგი აქ ბუდობს...  
არგოც აქ იდგა.  
იაზონი ცას გაჰყურებდა.  
დუმდა ჰელიოსს...  
ოქროს ვერძი ღალატს ბღაოდა  
აქ, ამ ყურედან“.

ამ ხილვის სცენა წარსულის დიდებული ნოსტალგიაა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელი ამ ხილვებზე სმენაგამახვილებული, დაგეჟილი, მის კვალში ჩამდგარი პოეტია. აქ არის საოცარი ხილვა პროფესიონალი ვიზიონერისა, რომელიც მთელი არსებით განიცდის გამოცხადების ჭკეშიმარიტ საიდუმლოებას...

ვაჟა ეგრისელი ზღვისკარად გაზრდილი კოლხია და ზღვებს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თოლიების ნისლით გადახურული ზღვე-



ბი მისი არაჩვეულებრივი მგრძობიარე სულის ყა-  
ლიბებია და ნათელმსმენელსა და ნათელმხილველ  
პოეტს მათი გულისცემაც ესმის, ქარიშხალიც მისი  
სუნთქვაა, ზღვა ხელთ უპყრია და... მართლაც, რა  
საოცარი სურათია:

„ჩემი სუნთქვაა ქარიშხალი,  
მე ვარ ნეფტუნი,  
ცით მივდივარ და ცას ვენივთები,  
ზღვა ხელთ მიპყრია, ვით სიღურჯით  
საგსე ფინჯანი,  
მივაპობ დეღვას...  
რომ მეხლება მკერდზე  
ზვირთები,  
ვიცი ისინი,  
ძაღვს და ღონეს რომ მისინჯავენ  
და მიხარია“.

ვაჟა ეგრისელისათვის ზღვა სულიერი ამაღლე-  
ბის იმპულსია. პოეტს ხიბლავს გასაოცარი კანონი  
ბუნებისა. როცა დაპირისპირებულია ბრძოლა ბუნე-  
ბაზეც ვრცელდება და მაინც, უნატიფესი გრძობე-  
ბით უმღერის პოეტი ზღვას, ეოცნებება ზღვის დაი-  
სი, როცა გათანგული ზვირთთა ლალი დინებით, უც-  
ნაური განცდა ეუფლება მაშინ, როცა: “ზღვა მხრებს  
ისწორებს და ბუდიდან ლამობს აფრენას“...



ზღვა და მისი სტიქიები, ზვირთები, გრიგალი, ქარები, ტალღები, ქარიშხალი – ვაჟა ეგრისელის წყაროს თვალთა, ყველაფერი მისთვის საკუთარი სულის, სხეულის ნაწილია და ხშირად ერთი და იგივე საგანი ყოველთვის სხვადასხვა იერითა და აზრით იბადება. სხვადასხვა მნიშვნელობითა და ფსიქოლოგიური ფაქტორით იტვირთება. პოეტი ებრძვის საგნების სახე-ცვლილებათა თითქმის მისტიკურ მოზღვავენებას, სურს დაიპყროს, დაიმორჩილოს და მთელი არსებით იბრძვის, ისწრაფვის ხელით მოუხელთებელი სამყაროსაკენ. მაგრამ ეს წამება როდია, არამედ ბრძოლაა ბედნიერებისათვის, ეს არის მსხვერპლი სიყვარულისთვის:

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





\*\*\*

შენ პოეტი ხარ...

და ცის სარკეში,

ათასწლეულის შემდეგაც ხედავ,

რომ ხსოვნის სკამზე გვერდი-გვერდ

სხედან

და ვერდიქტს ელის:

ლუი პირველი...

და მეორეც...

პიპინ მოკლე და

პიპინ გრძელი.

2010

## რუსტინე, ბესა და მარტინე

კეისრის ცბიერმა სარდლებმა,  
სპარსებთან –

ბროძელებსაც მოუკლეს  
და კოლხებს გულები ატკინეს.

ბოლოს კი ხელმწიფეც<sup>1</sup>

მოუკლეს:

რუსტინემ<sup>2</sup>,

ბესამ<sup>3</sup> და მარტინემ<sup>4</sup>!!!

1962

---

<sup>1</sup> – ხელმწიფე – იგულისხმება გუბაზ მეორე, კოლხების დიდი მეფე (554 წ.)

<sup>2,3,4</sup> – ბიზანტიელი სარდლები, რომელიც იმპერატორმა იუსტინიანემ სიკვდილით დასაჯა



ღარიოს I,

კიროს II

რათუნდ უამმა მეფეთა  
საქმე არივ-ღარიოს,  
მაინც კიროს მეორეს,  
ვითა პირველ ღარიოსს,  
ომი თითქოს მომხდურთან  
წაუგია არცერთი,  
ის იყო სპარსეთის  
ავ-ღარიც... და ღარიო.

1999



\*\*\*

მემღურის იგი!

რატომ და რისთვის?! –

წარსულის კარებს ვუღებ

და ვკეტავ!

ჰო,

შენს დაქალზე ვუბნობ, ჰეტერა\*.

კარგი არასდროს მიქნია მისთვის,

და...

დანასისხლად ასე რატომ

გადამემტერა?!

1967

---

\* ჰეტერა (ბერძ.) – განათლებული გაუთხოვარი ქალი



## ისევ ხეთაში

ვითარც მაშინ...

შოთრეულ,

ცივ წარსულში ეღვარე –

უკავია მზეს შუბი.

მე, ხეთაში<sup>1</sup> დავეძებ – არინას<sup>2</sup> და

თეშუბის.

1963

---

<sup>1</sup> – ხეთა – პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში

<sup>2</sup> – არინა – ხეთების მზის მფარველი ქალღმერთი (ძვ. წ. 2300 წ.), თეშუბის მეუღლე.



## ბიბლია და რეპედა

ეფუთში ის სწერია,

რაც უფალი სამყაროს

სიბრძნით რომ არიგებდა.

და... ამიტომ „ეფუთთან“

ბაღდად მოხანს „ყურანი“,

„ბიბლიაც“ და

„რეპედაც“.

1969



## გაბრიელი და ნიკოლოზი

რწმენის მაღალი ტაძრები,  
ურწმუნო,  
უღმერთოებმა,  
რაც აოხრეს და არბიეს!!!  
სწორედ იქ სანთლებს  
უნთებენ  
მამებს: ვასილს<sup>5</sup> და გიორგის<sup>6</sup>,  
ნიკოლოზსა<sup>7</sup> და  
გაბრიელს<sup>8</sup>.

2012

---

<sup>5</sup> – ვასილი – ფირცხალავა

<sup>6</sup> – გიორგი-ბასილაძე

<sup>7</sup> – ნიკოლოზი – (მარქარაშვილი)

<sup>8</sup> – გაბრიელი – სალოსი (ურგებაშვილი)



\*\*\*

ექსინის პონტოს,  
წყნარს და თვინიერს,  
არვის ეგონა, ბაყბაყდევით  
ქვეყნად თუ რამე გაახელებდა,  
როცა კოლხეთში ნებით  
დაება.

და, ჰა, მას შემდეგ დაობს  
სმელეთთან,  
მაგრამ ჩემს გარდა არავინ იცის,  
რას ეღაპება!

1966





კრიპტოზოურ ეონის

იყავი თუ არ იყავ,  
ჟამთა ბრუნვას ეომე.  
თვალში გეღვა ცა და მთელი  
პლანეტა,  
მესთა-ტეხა, გრგვინვა ოკეანეთა...  
და გესმოდა ძახილი –  
კრიპტოზოურ ეონის\*.

2014

---

\* კრიპტოზოური ეონი – გეოლოგიური დროის პირველი დიდი პერიოდი, რომელიც 4 მილიარდ წელს მოიცავს.



\*\*\*

უამთა რისხვამ ძერა ვერ უყო,  
კოლხთა ნაგებ პირამიდებს,  
უფალი კი გმირს და  
მედგარს,  
თვით სიკვდილსაც არ ამონებს.  
ჰელიოსის სული ედგათ  
დიდ ეგვიპტელ –  
ფარაონებს.

1973



\*\*\*

ქაღდური სიბრძნის გონი –  
მთვარის ქვაზე აღესეს  
და სხვის არა,  
აზიის მზე –  
სწვადათ უმხურვალესი:  
ჰომეროსს<sup>1</sup> და  
ჰეროსტატეს<sup>2</sup>,  
პითაგორას<sup>3</sup>,  
თაღესის<sup>4</sup>.

1966

---

. შ. 1,2,3,4 – რ.ნანდერსონის მიხედვით, კოლხები (ქართველები) იყვნენ



## მოწამეთა

აქ მურვან-ყრუს ხმები ისმის...  
და წამებულ გმირთა კენესა  
ფრესკებიდან ტანჯვად წვეთავს.  
და მირონად ესხურება  
ჯვარზე გაკრულ  
მოწამეთას.

1969



\*\*\*

შორით მიმავალ საუკუნეებს,  
ისევ გაჰყურებ ხელის  
მონრდილვით,  
რადგან რწმენაა შენი ძმობილი.  
პოეზიაში ბევრზე-ბევრი,  
შენ გყავს მორჩილი,  
რადგან მგოსანი ხარ –  
განღმრთობილი\*.

2012

---

\* განღმრთობილი – მაღლით ღმერთკმნილი



## ქართლის პატიასუები

(არშუშა და ვარსკენი)

ათას ექვსასი წლის მერე

(შენ, ვით სამართლის მცოდნემ)

კვლავ ასე დაასკენი:

რომ დიდხანს ჰყავდათ სპარსელებს

ქართლში პირველ ჯაშუშად –

ჯერაც მამა –

არშუშა,

მერე შვილი – ვარსკენი.

1967



**კოლხური ბაღი**

დღეები ათასწლეულთა.  
დიდ ოქროს ჭიშკარს  
აღებენ,  
გზას მიუყვები დიდების...  
ირგვლივ კოლხური  
ბაღები  
ჰყვავის,  
ვით ჰესპერიდების\*.

2007

---

\* ჰესპერიდების ბაღი (ბერძ.) – სადაც ხეები ოქროს  
ვაშლებს იხსამენ



\*\*\*

შენი გონი ციური –  
საუკუნეებს დანაყავს,  
დიდ ხელმწიფე ადერკივით.  
დრო გავა და...  
პარნასელებს წარუდგები  
ამაყად,  
ვით ტოლ-ტოლს...  
და არა ქედადრეკილი.

2014





\*\*\*

შენ არა ხარ ნაშიერი  
აპსუსა<sup>1</sup> და თიამათის<sup>2</sup>,  
მიტომ დახვალ კვლავ  
მშიერი:  
ხეთური და ხურიტელი –  
მითების და  
ლეგენდების.

1981

---

1,2 – აპსუ – მტკნარი, თიამათი – მლაშე (წილები),  
საიდანაც იშვნენ ღმერთები



\*\*\*

ოქროს ჩლიქებიანის  
გესმის ხმები ხარების,  
დიდ აიეტ ხელმწიფის.  
მაინც ჩრდილს ევარები  
მთაზე მდგარი  
„ხმელ წიფლის“.

1963



## გიზას, მემფის, საპარას

შუამდინარეთს,

ეგვიპტეს,

ისმის მითრას<sup>1</sup> ხმაური

და ხახამშრალ ველ-მინდვრებს,

მზე დაჰყურებს თაკარა,

ვით ურუქის<sup>2</sup> და ურის<sup>3</sup>,

გიზას<sup>4</sup>,

მემფისს<sup>5</sup>,

საკარას<sup>6</sup>.

1968

---

<sup>1</sup> – მითრა (სპარს) – მზის და სინათლის ღმერთი  
<sup>2,3</sup> – შუამდინარეთის დიდი ქალაქები (ძვ. წ. 3500 წ.)  
<sup>4,5,6</sup> – ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი ქალაქები (ძვ. წ. 3100 წ.)



\*\*\*

აიეტის დიდ კოლხეთის –  
წილად გერგო ახდა ფარდის.  
აწ რა გვიჭირს მზესთან  
ყოფელს.

მხოლოდ ჩემო,  
იმათ დარდობ, –  
მონატრებულთ ზესთა სოფელს.

2010



\*\*\*

აღარ გაშინებს მძვინვარება  
ოკეანეთა,  
პოსეიდონის<sup>1</sup> გეიმედება  
და ასწლეულთა ღელვას იფონებ.  
რას იქმ...  
მგლისფერი ხშირად გედება,  
კოლხეთში ნაშობს ზღვის  
და გრიფონის<sup>2</sup>.

2005

---

<sup>1</sup> – პოსეიდონი – ზღვის ღმერთი

<sup>2</sup> – გრიფონი – მითიური არსება ლომის ტანით, არწივის თავითა და ფრთებით



## უკანა ფურცლი

კოპალას ლახტმა მითიდან –  
დამის წყვედიადში იალა  
და არაგვს ძილი გაუკრთა:  
დევთა მოისმა ღრიალი –  
აბდელაურის შავ ტბიდან  
და მითიდან უძილაურთა.

1977



\*\*\*

მილიონი წლის იქიდან –  
წამოსული ევფრატიდან  
აქ,  
სვანეთში ჟრუანტელად,  
ენგურსა და ხაღდეს<sup>1</sup> უელის  
სმები –  
ჩვენი წინაპრების –  
ძველ კოლხური –  
ქაღდუერი<sup>2</sup>.

1972

---

<sup>1</sup> – ხაღდე – სოფელი სვანეთში

<sup>2</sup> – ქაღდეველები – პირველი ქართველები დედამიწაზე



## ადამი და ნოე

დელვა ათასწლეულთა,  
განა აღარ დადლიდა,  
მაგრამ მუდამ ესმოდა  
კოლხს,  
ედემის ბაღიდან  
ხმები უსათნოესი –  
ორი დიდი წინაპრის  
ადამის და  
ნოესი.

1964





აფხაზეთი – 1992

მაშინ,

როდესაც ემტერა

ძმა

ძმას, ვით აბელს –

კაენი.

დღე იყო ერთი ციდა.

ღამე კი ერთი მტკაველი,

ცა –

მწუხარებას ცრიდა.

1992



\*\*\*

უხილავმა,  
რომელმაც,  
ზესკნელი და ქვესკნელი  
აქუსა და  
ამეწერა! –  
შენში სძინავს იმ ძაღვს,  
როგორც კვესში –  
ნაპერწკალს.

2007



## კოლხური ანბანი

ათასეულ წლის წინათ,  
ქვეყნად ქრისტეს მოსვლამდე,  
დიდმა უფლის მონებმა,  
ცად „კოლხური ანბანი“ –  
ჭეშმარიტად დალანდა:  
– იგნატიოს დონელმა<sup>1</sup>  
და დიოგო<sup>2</sup> დე ლანდამ.

1984

---

<sup>1</sup> – იგნატიოს დონელი – ამერიკელი მწერალი (XIX ს.)

<sup>2</sup> – დიეგო დე ლანდა – ესპანელი მეცნიერი (1524 – 1579 წ.)



## კოპალა და იახსარი

ამბავს,

ლეგენდას დაუერთავე  
და სადღაც უძილაურთას:  
„ბროლის ქვის კოშკს“  
ადის ალი...

ეჭვრეობ:

იქ დევებს მიაწვარი!  
მოგეშველა ტყუპისცალი –  
კოპალა და  
იახსარი.

1977



## ტობალებს და ტიბარებს

ათი ათასწლეულის მერე,  
სადღაც სულეთში,  
თუკი ჩუმად უსმენენ:  
ლაზურ-მეგრულ სიმღერებს!  
აღბათ  
ტანში აურუოლებთ –  
ტობალებს<sup>1</sup> და  
ტიბარებს<sup>2</sup>.

1969

---

1,2 – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



\*\*\*

მთებში ჩამოდგა მაისი,  
მაგრამ შორს,  
იქ – „ბურსაჭირის  
ფერდობზე“ თოვლი არ იძვრის.  
„თერგის ღრიალში“  
ხმა ისმის,  
მოხევე – “მოჩხუბარიძის”.

1961



## ენგური

ლოცვად იდგა ენგური\*  
და საკუთარი ღმერთისთვის  
სანთელ-საკმელს იკმევდა.  
რადგან კოლხი მეფობდა –  
ტროას,  
                  ატილანტიდას და,  
კრეტესაც და მიკენსაც.

1971

---

\* ენგური – პირველი ეკლესია დედამიწაზე



\*\*\*

თუმც პოეტების არის მრავლობა,  
მაგრამ მაინც კი არის  
მცდელობა,  
ისე, ვით ერთ დროს ვაჟას „ფშავლობა“  
ვაჟა ეგრისელს  
„დაუწუნონ“  
ეგრისელობა!

1987





\*\*\*

მიყვარხარ!

არ გაგვთვალონ.

ავსულებს ვუთხრათ არული.

რადგან, ჩემო,

მიწიერი კი არა,

კოსმიურია –

ჩვენი სიყვარული.


1977



\*\*\*

სცილას გამოეპარე!  
და ისე, ვით ოდისევეს,  
თავი აგარიდა,  
იქვე ჩასაფრებულმა –  
თვალბედიტმა ქარიბდამ.

1993



\*\*\*

წყარო ამოჩუხებდა,  
სად ბოძალი დაჰკარი  
და ხეს ხელი შეახე.  
პოეზიის შუადღე –  
უფლის ცა ხარ –  
თაკარა.

1996



## ბაბილონის გოდოლი

უპირველეს ყოვლისა,  
ბაბილონის გოდოლი  
ან მარესგან იკურთხა.

ქალდე დასტრიალებდა  
მშენებარე ზიკურთას.

კოლხური მზე იქიდან –  
ამობრწყინდა,  
აღმოხდა!

მერე?

მერე ჩაქრა და...  
არვინ უწყის, რა მოხდა!

1979



“ეფუთი”, “ბიბლია”

ო, მაშინ სამყაროს შემოქმედს,  
კოლხეთი –  
ათასწორად მოურთავს,  
როცა მან მკერდზე მზე დააბნია.  
მას ჰყავდა „ეფუთი“,  
სხვა ყველა მოუკვდა,  
„ეფუთის“ პირველი შვილია  
ბიბლია.

1966



\*\*\*

პონტოს სანაპიროზე –  
მტრის რისხვად მდგარ  
კოლხიდას  
და ბუმბერაზ კოლხელებს,  
თუკი არა მედეას –  
ვერაგული დალატი,  
ვერაფერი მოხრიდა!

1969



## 15 მაისი

მალე ჩემი სამშობლო –  
არ იქნება ბედკრული!  
15 მაისს, თბილისი,  
ჩემს დღეობას გადაიხდის,  
ვითარც რომი –  
მერკურის\*.

1989

---

\* მერკური – იუპიტერისა და მაიას შვილი, ბერძენთა ჰერმესის რომაული ორეული, ფრთიანი შიკრიკი, ღირის გამომგონებელი, რომლის დღეობას რომში 15 მაისს იხდიდნენ



**მარტყოფი – 1625**

ქართველთა ხმლები მუსრავდნენ –  
მტრის ბუნაგსა და  
სამყოფელს...  
და სააკაძის ყიჟინა,  
აღბათ, ურუანტლად  
უგლიდა  
მიწაში  
ანტონ მარტყოფელს!

1989





## ზრიქსე და იაზონი

კოლხთ ხელმწიფე აიეტს –  
გმირობით და ვაჟკაცობით  
თაფი როცა მიაზომეს!!!  
ქონდრისკაცად წარმოჩინდნენ –  
ფრიქსეცა და  
იაზონიც.

1978





## ზაზისი

მილიონი წელია,  
ზღვისკენ იღტვის ფაზისი  
და ცას ასე ჰგონია:  
(არაა მოგონილი!)  
კოლხეთია – ბაზისი!<sup>1</sup>  
აქეთ – თეოგონის<sup>2</sup>,  
იქით – კოსმოგონის<sup>3</sup>.

1963

---

1 – ბაზისი – (ბერძ) – საფუძველი

2 – თეოგონია (ბერძ) – ღმერთების წარმოშობა

3 – კოსმოგონია (ბერძ) – სამყაროს წარმოშობა



\*\*\*

აიეტის კოლხეთმა,  
    ღამე თეთრად ვითია...  
    შენი აკვნის დამრწევი –  
პონტოს პირას ნაშობი  
    ლეგენდა და  
                    მითია.

1978



\*\*\*

მეცხრე ციდან ჩამოფრენილთ,  
ვით წინაპრებს –  
მზით მოსილებს,  
ქართული ცა –  
გხურავს სინდის-ნამუსად  
და ამიტომ არ უჩივი მნემოსინეს<sup>1</sup>,  
არც აპოლონს<sup>2</sup>,  
არც მათ ნაგრამ  
ცხრა მუზას.

2011

---

<sup>1</sup> – მნემოსინე – (ბერძ) – მეხსიერების ქალღმერთი

<sup>2</sup> – აპოლონი (ბერძ) – ხელოვნებისა და წინასწარმეტ-  
ველეების ღმერთი, ზევსის შვილი



\*\*\*

გამკრთალი ელვის ბილიკით –  
მთვარე მოჩანს ფერდობად,  
სანამ მთები აღსავლით  
გაღიქცევა წყვდიადად –  
შესციცინებ ნიადაგ:  
ცის ერს და  
ცის მხედრობას.

1969



## მითრა

ვითა ლეგენდებში მითრა<sup>1</sup>,  
დარჩენილი შენ ხარ ერთი,  
სხვა ვინ არის,  
აბა, მითხარ?!

ვინც ფარულად დაატარებს –  
ქართულ პოეზიის მიგრას<sup>2</sup>.

2012

---

<sup>1</sup> – მითრა – (სპარს) – ცეცხლისა და სინათლის ღვთაება

<sup>2</sup> – მიგრა (ბერძ) – უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქველი



**ისევ “კოლხური ფსალმუნები”**

მთიებით ნაწერი მთვარის წიგნი,

შორეული –

ქართული ცის კაბადონზე

გადაშლილია ეფუთივით.

„კოლხური ფსალმუნები“

გრაალია,

მითში და ოქროს საწმისში

შეფუთვნილი.

2012





\*\*\*

ვეფრატის და ტიგროსის პირს,  
ვით ხობოსთან  
და ფაზისთან,  
მესმის კოლხთა ლაპარაკი,  
და ყვავილობს –  
ბადითბირა<sup>28</sup>,  
დუღს ერდუ<sup>2</sup> და სიფარი<sup>3</sup>,  
შურუფაქი<sup>4</sup> და  
ლარაქი<sup>5</sup>.

1972

---

1,2,3,4,5 – წარღვნამდელი ქალაქები შუამდინარეთში  
(მეხუთე ათასწლეული)



**ისევ მოლოდინი**

ორი ათასწლეულის

მერე,

იქნებ ცამ ქრისტე

ისევ მოილოდინოს.

და, ვით კვართი ახაროს

ელიოზ მღვდელმთავარმა

მხედარს –

ყარსნელ ღონგინოზს.

1994



\*\*\*

ქინკლებივით ცაში რომ ირევიან,  
მირიადი ღამე ნათევია.  
ცა შვენით სინათლის  
თვალებიანთ,  
და განა ისინი მნათებია,  
ცის კიდეზე მიწერილი –  
მარგინალებია\*.

1973

---

\* მარგინალები (ღაო) – წიგნის კიდეზე მოთავსებული სათაური ან შენიშვნა



✠

**ხილვა: ნანა დედოფალი**

ვერ აკავებს უჯარმის

ციხე

სპარსთა მოისართ!

კახთა დიდი ღაშქარი –

ვანმე!

როგორ მოისრა!!!

– მესმის ნანა დედოფლის

შავი „სიტყვა გლოვისა“.

1989



**ხილვა: ბურნაბური და  
ქადეშმანი**

მძინვარ ათასწლეულებს  
წარდგნა ერთურთს მიაშლის,  
ზეციდან რომ დაეშვა.  
და... ვჭკრებ ქარდუნიაში\*  
სამეფოს და  
მეფეებს –  
ბურნაბურს და ქადეშმანს.

1978

---


\* ქარდუნიაში – ქარდუ – ქაღდე – ქაღდე –  
სახელმწიფო (მეორე ათასწლეული, 1500-1300)



**ხილვა: სიღონია აბიათარის  
ასული**

ორი ათასწლეულის  
მერეც,  
ცხადი მგონია,  
რომ ვხედავ სიღონიას –  
ასულს აბიათარის,  
ვით ბჭობს წმინდან  
ნინოზე  
ამბავს, მთელი ზამთარი.

1979



\*\*\*

რაც ზამთრის სუსს გადაურჩა,  
მწამს,  
მოუღებს მარტი ბოლოს,  
მაგრამ შენს „მეს“ თითს ვერ  
ახლებს,  
როგორც სიტყვის ტაძრად  
დამდგარ  
პოეზიის მარტიროლოგს\*

2011

---

\* მარტიროლოგი (ბერძ) – საეკლესიო კრებული, რომელშიც გადმოცემულია ქრისტიანობისთვის წამებულთა ცხოვრება



## ბაღი სემირამიდის

მიღმა ათასწლეულთა –  
ედგა კარგი ამინდი  
კოლხეთსა და ბაბილონს.  
წარსულში კვლავ ყვავილობს  
ბაღი სემირამიდის.  
ასწლეულებს მიაღწევს  
ჟამი ფაფარაშლილი,  
მაგრამ არსად არ მიდის!!!

1969





## პაემანი

შენ ხარ მგოსანი  
და უფალთან გაქვს  
პაემანი!  
კოლხური მთვარე, ვითა კითარა,  
ხელში გიჭირავს ორფეოსივით  
და თხზავ „ფსალმუნებს“,  
როგორც პეანებს\*.

2011

---

\* პეანი – ღმერთების სადიდებელი ჰიმნი



**როგორც მეზე აღერპი**

საქართველოს ცისქვეშეთს,  
მუდამ თავს დასტრიალებ,  
როგორც მეზე აღერპი.  
რადგან პოეზიაა  
შენი თავმისადრეკი.

2014



## მელია – ტელეფია

შურის შხამიანი ჩანს ისარი,  
მაინც ვარსკვლავების  
ბილიკებით –  
მოდის ისე, ვით ელგვია:  
„ადრეკალაი“<sup>1</sup> და  
„საქმისაი“<sup>2</sup>,  
და ცისიერი „მელია-ტელეფია“<sup>3</sup>.

1966

---

1,2 – სვანური ფერხულები (XVIII – XVII ს.)

3 – ხათური ხეთური დვთაება (მეორე ათასწლეული)



\*\*\*

ბობოქრობ...  
ზღვის ლურჯ ფსკერზე,  
კვლავ დაეძებ ბროლს და  
მარჯანს!

პარნასიდან მუზას ელი...  
გააღწიე უამთა დარჯაკს,  
დარჩი ბავშვი –  
უზაკველი.

2014



\*\*\*

ეჭერეტ ოლიმპოს მაღალ მთას,  
მოკვდავთ ცრემლით ნესტიანს.  
და იქვე მსხდართ მეფესთან<sup>1</sup>,  
ჰადეს<sup>2</sup>,  
ჰერმესს<sup>3</sup>,  
ჰეფესტოს<sup>4</sup>,  
ჰერაკლესა<sup>5</sup> და ჰესტიანს<sup>6</sup>.

1970

---

1 – იგულისხმება ზევსი  
2,3,4,5,6 – ოლიმპიელი ღმერთები



## ქალღვევლთა მაგია

ათასწლეულებია –

მთელი კაცობრიობა

(თუმცა ჩვენ რას გვარგია!)

ხსნის და ვერ ხსნის შუმერთა

„ოქროს დამწერლობას“ და

„ქალღვევლთა მაგიას“.

2001



## ქალდეური მზე

შორეული –

ქალდეური,

ოქროს სხივი მზეს უნათებს...

შენს –

„კოლხური ფსალმუნების“

ცაში უფლის სახილველად,

და ლოცვად მდგარ ზიკურათებს\*.

1991

---

\* ზიკურათი – რელიგიური საკულტო გიგანტური კოშკი – ბაბილონსა და სირიაში



**ქართული ენა აღსდგა  
მკვდრეთიდან**

„იზრახებოდა ქართლსა შინა ექესი ენა:  
სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული,  
ებრაული და ბერძნული“.

ქართლის ცხოვრება,,

ჯერ არსად ჩანდა მაკედონელის  
ლეგიონები ჩვენსკენ მავალი  
და ჩვენი ყოფნა ბეწვზე ეკიდა!!!

მერე –

„გამოხდა ამას შინა უამი  
მრავალი“...

ქართული ენა აღსდგა –  
მკვდრეთიდან.

1973



\*\*\*

ნათელს მარადისობის  
ისევ ისე ელი და...  
გინდა სურო და  
დაუნა!  
რადგან იგი ხელიდან  
„გაგისხლტა“,  
ვით ადაპას\*.

2011

---

\* ადაპა – პირველი ადამიანი



## ისევ და ისევ კოლხეთი

ოქ –

არესის ჭალაში,

მუხის ტოტზე ეკიდა

მთვარე –

ოქროს საწმისი.

ვიმეორებ ათასჯერ:

(თუმც ამისთვის დამსაჯეს!!!)

კოლხეთია სამყაროს –

საფლავიც და...

საწყისიც!

1978



## მარდუქი

წარსულიდან მოსული,  
    ჟამთა ოხერ-ტიალი,  
არ გაშინებს ქარბუქი.  
    თბილისს თავს დასტრიალებ,  
ვით ბაბილონს –  
    მარდუქი\*.

2010

---

\* მარდუქი – ბაბილონის პატრონი ღვთაება



\*\*\*

წარსულში არა,  
მომავალში დააბოტებენ:  
შანდორ პეტეფი,  
მიცკევიჩი,  
ხრისტო ბოტევი.  
და შენც იქითკენ იღტვი  
ოტებით...

1966



## შუმერი და აქადი

ზოგ-ზოგმა „დიდ სწავლულმა“  
არც კი იცის აქამდე,  
რომ დიდ ქალაქ –  
ბაბილონს\*,  
ერქვა ბაბილონამდე –  
„შუმერი და აქადი“.

1976

---

\* ბაბილონი – (ეხლანდელი ერაყის ტერიტორია) დაა-  
არსეს შუმერებმა მესამე ათასწლეულში



## ორაკული

შორით მტკვარი ჩანს –

ორსული

და თბილისი სიყვარულის

საღ-კლდეებით მორაგვული.

კოლხეთიდან ჩამოსული,

შენ ხარ მისი ორაკული\*.

2010

---

\* – ორაკული – მენცარი (მეგრ.), წინასწარმეტყველი



\*\*\*

სურს, რომ გასაგისი ამოგიქროს,  
ვით ძველ კოლხებს  
და მზის ხეთებს.  
და სადღაც სიკვდილი კბილს  
ილესავს.  
მაგრამ ვერაგზით მოგიხელთებს,  
ქართული პოეზიის  
ბაზილევს\*.

2012

---

\* – ბაზილევსი (ბერძ) – პომეოსის ეპოქაში ტომთა  
ბელადი. ზოგ ბერძნულ სახელმწიფოში მეფე



## შკვითული\*

დედის მხრიდან:

ათასწლეულების ბილიკს,  
 ხსოვნა ძველებურად ტკეპნის  
 და ხმა მესმის წინაპართა –  
 შორეული დიდზე-დიდი:

„სკუა“,

„ნანა“,

„ბები“,

„პეპი“,

„ჯამარ“,

„შამარი“, „დო დი“.

მამის მხრიდან:

კოლხურ ცისქვეშ ადათ-წესი  
 უამთა უღრანს მიკაფავს...  
 და ძახილი ესმის მზის ყურს:

„სკუა“, „მუმა“, „ბაბა“, „პაპა“,

„ჯიმა“, „შამა“

დო „იმპუ“.

1966

---

\* შკვითული (მეგრ) – შვიდეული, შვიდი თაობის სახე-  
 ლი დედისა და მამის მხრიდან.



**ტკბილ-კოლხური ღურჭული**

მოვლილი გაქვს სამყაროს  
ყველა კუთხე,  
კუნჭული.  
სად,

ოდეს თუ ისმოდა,  
წინაპარ-ორფეოსთა  
ტკბილ-კოლხური  
ღურჭული.\*

1999

---

\* ღურჭული (მეგრ) – სიმღერა, გალობა



**კირკე – ნანა – რეა კიბელა**

(ვარიანტი)

მძინარ ათასწლეულთა  
თქმულებებს და  
ლეგენდებს,  
მიდის და კვლავ მიბელავს...  
ისე, როგორც სამება  
ერთია და...

(სამია) –

კირკე – ნანა – კიბელა.

1978



**ემერსონი, უიტმენი**

/ვარიანტი/

პოეზიის კალოს ლეწენ,

შორით ისმის ხმა „ნადურის“,

ვიღაც ყივის:

ბოღმას გულში ნუ იტენი!

თუ გინახავთ კაცი ქვეყნად უმაღური,

ისე, როგორც ემერსონთან,\*

უიტმენი!

1964

---

\* ემერსონმა უიტმენი გააღმერთა მაშინ, როდესაც მის პოეზიას „ნაკელს“ უწოდებდნენ, ხოლო უიტმენმა ცოტა ხნის შემდეგ ის მიწასთან გაასწორა!!!



## ტომას მორი

ისე, ვით სამშობლოს „მოღალატეს“ –  
ტომას მორს,

მორივით თავი რომ მოჰკვეთეს,  
ის „ამხნევებდა ჯალათებს“!!!  
და შველას არ თხოვდა  
მოყვასს და მოკეთეს.

1989



## ბაბრატიონი

ისტორიის შარა – გრძელზე,  
ეჰ, რამდენი იომა,  
მზის ქურუმთა ნაშიერმა  
გვარმა...

მერე „ბაგ-ბარ-ტუ-ნმა“<sup>1</sup>  
ბოლოს „ბაგრატიონმა“.

1968

---

<sup>1</sup> – ბაგ-ბარ-ტუ-ნი – ურარტული ქალ-ღვთაება.



**ხილვა: იტალია, მესამე  
ათასწლეული**

მეფობს სული კოლხური, –  
იბერია<sup>1</sup> – გალური<sup>2</sup>  
და სხვას აღარ ირევენ  
(გზებიც გაიიოლეს!)  
იტალიის შუა გულში  
ვჭვრეტ საბელებს<sup>3</sup>,  
ტირენებს<sup>4</sup>,  
პელაზგებს<sup>5</sup> და იონელო<sup>6</sup>.

1972

---

<sup>1</sup> 1, 2, 3, 4, 5, 6 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ხალხი



## პანტოგრამა

კაპარჯში ისარჩაწყობილნი,  
აღარ შორდებიან ამურები...  
მასზე არ მოქმედებს  
ავღარი და არც ტაროსი.  
შენი “კოლხური ფსალმუნები” –  
პანტოგრამაა<sup>1</sup>  
სამყაროსი.

1998

---

<sup>1</sup> პანტოგრამა (ბერძ.) – ხუთი ხაზი, შუა საუკუნეებში ამულეტებზე გამოხატული მაგიური წრე.



## ტორეტიკს და კერკეტიკს

ზღვას ახსოვს...

და არ ახსოვს

თორსელსა და

ერგეტელს, –

მტერს, ვით ეპყრა ზღვის კარად  
ხელთ იმათი ბერკეტი.

და ვით უღეგტდა მომხდური –

კოლხთა მონათესავე –

ტორეტებს<sup>1</sup>

და კერკეტებს<sup>2</sup>.

1968

---

1, 2 – აწ გადაშენებული უძველესი ტომები.





\*\*\*

ვარსკვლავებით მოჭედილი,  
გადაშლილი  
ოქროს რუკა გიდევს ღამის  
და აღმერთებ შელინგივით<sup>1</sup> –  
„ტრასცენდენტურ  
იდეალიზმს“.

1969

---

<sup>1</sup> -ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.



## სოკრატე და ისოკრატე

მეცხრე არა,  
მეცხრამეტე,  
      ცისკენ ისევ მიგაქროლებს  
სურვილები –  
ქართულ ფრთების  
      (ჭირია თუ არის ღხინი).  
და, ვით ადრე ხშირად თვრები –  
      სოკრატეს თუ  
ისოკრატეს<sup>1</sup>  
დაწურული სიბრძნის ღვინით.

2003

---

<sup>1</sup> -ისოკრატე – ბერძენი ორატორი, სოკრატეს მსმენელი  
(ძვ.წ. 436-338)



## უზვი, უსხი, უაბი

„არ მომცა ძე, არც ასული“...  
დ. გურამიშვილი

ზოგჯერ ცოდავს ბუნებაც,  
არ-რას ამბობს,  
დუმს წამი.

კაციც...

და ხეც ცოდვაა –  
უზვი<sup>1</sup>,  
უსხი<sup>2</sup>,  
უაბი<sup>3</sup>,  
უნაყოფო<sup>4</sup>, ურწამი<sup>5</sup>.

2009

---

1,2,3,4,5 – ბერწი, აზატი, უშვი



\*\*\*

ომების კვამლით თვალებდამწვარმა,  
დავიწყებაში მოვლემმა  
ხეთებმა,

აღარ იციან,

ან საიდან უნდა იცოდნენ,

რომ დღეს კოლხეთის

დიდი წარსული

ნილოსის პირას –

მოწყენილი დაეხეტება...

1967



**ტანკას, ხაბუს და გუნდაის**

(ვარიანტი)

რადგანაც მზე იქ ამოდის  
და არ-რაა გასაკვირი,  
რომ სიმწვანე სდევს  
მაისის –  
საკურას<sup>1</sup> და ჰარაკირის<sup>2</sup>,  
მისიმას<sup>3</sup> და მურაკამის<sup>4</sup>.  
ტანკას<sup>5</sup>,  
ხაკუს<sup>6</sup>  
და გუნდაის<sup>7</sup>

1964

---

1,2,3,4 – იაპონელი პოეტები.

5,6,7 – იაპონური პოეზიის ჟანრები.



\*\*\*

ძველი რითმის წრიაპებით,  
მწვერვალებზე ასვლის მდომთა,  
ეხეთქება სული ფლატეს.  
რა საქმე აქვთ –  
ლექსის ღომთან,  
პოეზიის სურიკატებს.

2001



## ცალკები და სასურები

კოლხური ცის ვარსკვლავები  
უნათებდნენ გზებს –  
შორეულ  
მაღალ მთამდე და სერამდე  
და ცვიოდა ცას ფერები,  
როცა მძვინვარ ზღვებს –  
სერავდნენ –  
ცალკები<sup>1</sup> და სასურები<sup>2</sup>.

1969

---

1,2 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები



\*\*\*

ფაფარაშლილმა ასწლეულებმა –  
გადიჭიხინეს ურა ცხენებად...  
აღბათ ჩამოკრავს მალე  
მიზრაფი!

მე კი დაღლილი,  
დასასვენებლად,  
მივალ,  
მივდივარ,  
შინ მივისწრაფი...

2015





## ეპიფიზი

სიცოცხლის ხე დგას  
დახუნძლული  
და მის უშქარ ნაყოფს ელი.  
„კოლხური ფსალმუნები“ –  
არის ეპიფიზი\*,  
ანუ „ხულის სამყოფელი“,  
ანუ „მესამე თვალი“.

2011

---

\* ეპიფიზი“ – თავის ტვინის ზედა დანამატი, ანუ „მესამე თვალი“



**ქალღველებს ეკუთვნის**

თუა სინდის-ნამუსი,  
    კვერს დამიკრავს ათასჯერ  
დიდი ნოსტრადამუსი  
    (თუმცა ბევრჯერ დამსაჯეს!!!)  
რომ ბიბლიაც, ეფუთიც,  
არც ბერძნებს,  
        არც ურიებს  
(მათ ბევრჯერ აურიეს!)  
    ქალღველებს ეკუთვნით!

1971



**ხილვა: “ბაბრატუნები”  
(ბაბრათიონები)**

უამი ჩუმად აკნატუნებს –  
სემის<sup>1</sup>,

ქამის<sup>2</sup>,

იაფეტის<sup>3</sup> –

გაზრდილთ რძით და ერბოთი.

ვჭკვრეც წარსულში „ბაგრატუნებს“,  
შთამომავალთ –  
ნებროთის<sup>4</sup>.

1972

---

1,2,3 – ბიბლიური ნოეს შვილები

4 – ნებროთი– ქამის შვილიშვილი



\*\*\*

მიღმა ჟამთა სიშორის,  
სადაც არ აქვს ჟამს ფსკერი.  
ბინადარი კოლხეთის –  
სულელებს –  
ზვირთებს ატანდნენ...  
მერე ხმობდა სასპერი,  
სპერში მძინარ ატლანტებს.


1979



\*\*\*

შენი ლექსები –  
თურმანიძის მაღამოა –  
და არჩენს სულიერ იარას,  
ცეცხლსა ყრის, ვით სტამბოლის კაჟი.  
შენი პოეზია,  
მიწიერი კი არა,  
კოსმიური აღიაქოთია,  
ვაჟა!

2015



\*\*\*

იდუმალების ხმები ჩაგესმის,  
რაღვან შენა ხარ  
უსასრულობა...  
და უსამანო სივრცეს შერთვამდე,  
ვითარცა სიბრძნე –  
უზენაესი,  
უნდა ამაღლდე კაცო! –  
ღმერთამდე!

2013



\*\*\*

მზის კოცონზე მიინავლა –  
საუკუნე ოცეული.  
იმკი,  
რაც რომ ვითესია.  
და შენც ისე, ვით მესიას,  
პოეზიის „ხელმწიფობა“ –  
„მაღლიდან“ გაქვს  
მოცემული.

2009



\*\*\*

შორეთს მიმავალი გზა,  
ყარიბს ვერ შეგაშინებს,  
წახვალ და...  
ვერ მოასწრებ,  
წამით უკან მოხედვას,  
როს ეგრის-ძე,  
მაშინვე  
გადიქცევი კოლხეთად!

2011





## ეგრის წყალმა და ქედმა ეგრის

გარდასულ უამთა შავი ღრუბლები  
დარიალებდნენ კოლხურ მთებს  
რისხვით,  
ჭექა-ქუხილის იყო მცდელობა.  
და მაინც შენ ერთს,  
ეგრის წყალმა და  
ქედმა ეგრისის,  
გიწყალობეს ეგრისელობა.

1986



## სამყარო პოლიგლოტია

ვარსკვლავნი ციურ გალობით –  
ათასწლეულებს ართობდა...  
ვითარცა ადრე წვიმები,  
სივრცეებს ეხლაც კორტნიან...  
ცამ იცის ენა –  
მნათობთა,  
სამყარო პოლიგლოტია.

1984



\*\*\*

მოკვდაუთ ლოცვა –  
სივრცეს ერთვის,  
მეცხრე ცამდე აღის.  
ნაპირი კი არის ერთი,  
სიზმრისა და  
ცხადის.

2010



**მუსხნი, მოსხნი, მოსინიკი**

დედა კოლხეთს ხელს უქნევენ,  
დავიწყების გზით მიდიან  
და არაფერს იბარებენ:

მუსხნი<sup>1</sup>,

მოსხნი<sup>2</sup>,

მოსინიკი<sup>3</sup>,

თაბალ<sup>4</sup> –

თუბალ<sup>5</sup>,

ტიბარები<sup>6</sup>.

1969

---

1,2,3,4,5,6 – კოლხური (ქართველური ტომები)



**არიებს და მათიენებს**

დავიწყებით გადახურულ  
ათასეულ წლის –  
იქიდან,  
ხმას ძლივს გვაწვდენს მატთანე  
და კოლხად თელის:  
აღაროდებს,  
არიებს და  
მატიენებს.

1967



\*\*\*

ადამის ძევ!

ღმერთი უნდა

ირწმუნო და...

იმარხულო,

ისე, როგორც იობმა.

მხოლოდ რწმენამ მოიყვანა

დღემდის –

კაცობრიობა.

1970



## სანები და ლაზები

პონტოს პირას ჩამომსხდარან,  
სადაც ზეერთთა ლაშქარი,  
სანაპიროს იკლებენ...  
კოლხეთს კვლავ ეზმანება –  
სანები<sup>1</sup> და  
ზანები<sup>2</sup>,  
წანები<sup>3</sup>,  
თიანიკები<sup>4</sup>.

1984

---

1,2,3,4 – კოლხური (ქართველური) ტომები.



## ჰანიბალის ლაშქრობა

მოსვალ და...

თოფი საბედისწეროდ

სულ უნდა მქონდეს,

როგორც იაშვილს!

ქვეყნად ყველაფერს უნდა

იღბალი,

რადგან ლაშქრობა იტალიაში

ვერ შევახერე მე...

ჰანიბალის!

1994





## ქოსელი ქალები

გმირთა კოცონს ანთებდნენ,  
სადაც რომ იალებდნენ...  
და ნურვინ გაიოცებს,  
რომ ქართველი ქალები  
აღარ ჩამორჩებოდნენ  
ქალბატონებს ქოსელთ\*.

1979

---

\* ქოსი (საბერძნეთი) – განთქმული იყო „ძველი მსოფ-  
ლიოს მამაცი და გონიერი ქალბატონებით“. პლუტარ-  
ქოსი (ა. წ. I ს.)



\*\*\*

განა მარტო ქართველის ცა,  
მზით მოსილი სამყარო,  
არის შენი სამშობლო,  
კაცო! –  
ქრისტეს ნათლულს,  
ქრისტეს კვართით ნაშობს!

1971



\*\*\*

ჯერ ბერძნები არ ჩანან...  
და ვჭერეც საღაც,  
კუნძულზე –  
იმბროსის და ლემნოსის:  
ტირინელებს<sup>1</sup>,  
პელაზგებს<sup>2</sup>,  
ხაღდეს<sup>3</sup> მთვართ შემოსილს.

1979

---

1,2 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ხალხი.  
3 – ხაღდი – ქაღდეველთა მთვარის ღვთაება.



⚡

\*\*\*

დაგეარგე!

ვერ ვპოულობ –

„გრაალს“ –

ხასხასას მოლივით...

ცა თავს ისევ მაწონებს –

ვარსკვლავების ფრესკებით.

ფაეტონის ეტლით კი,

ათასჯერ მაქვს

მოვლილი –

ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი.

1966



## სალვადორ დალი

(ვარიანტი)

მის „ჟირაფს“ ცეცხლის რომ  
ასდის ალი,  
მე ახლა ვასკვნი:  
ამ დიდი მხატვრის  
მეცა მაქვს ვალი,  
რადგანაც იგი იბურია,  
იგივე ბასკი,  
ბეთქილისა და დალის მოდგმის  
სალვადორ დალი.

1964



## ორი სურათი

1

სოფლის დელესთან  
პირმომღიმარე  
და მოჭყუმპალე  
ჩანან ბიჭები.

2

აი, ისინი,  
სხვა სურათში დგანან  
ჭმუნვარედ,  
აცვიათ შავი ახალუხები,  
ქალამნები და  
პაჭიჭები.

1964



## ანაკრეონტის ხმა

როს იელვებს ხმები ისნის,  
შენს ფიქრებში თვალს  
გაახელს –  
ზღვა პონტოს ან მეოტიის  
და შორიდან ხმა მოისმის –  
დიდი ანაკრეონტის.

1962



**პრემია – 100 000**

(ხუმრობით)

პოეზია ოცნების მძვინვარ

ოკეანეში –

მოტორტმანე გემია

და მზის ტოტს ჰგავს მობელილს.

მოელიან მგოსნები,

ისე,

ვითა რუსთველის

და ვითარცა ნობელის,

ეგრისელის პრემიას!

2014





## ნაბუქოდონოსორი

ვაზისთან და ევფრატთან  
ტირის ვაზის ბაბილო  
და ცრემლში ვჭვრეტ  
ბაბილონს.

ორ „ხაღდეს“ და ორ „ხეთას“, –  
ლეგენდებით მოქსოვილს!  
ორივეს მდგარს კოლხეთთან,  
დიდი კოლხი ხელმწიფის –  
ნაბუქოდონოსორის\*!

1968

---

\* ნაბუქოდონოსორი – ბაბილონის მეფე (ძვ.წ. 1196-1123).



## პერსონა რატა

ორი საუკუნის მერე,  
ნეტავი შენც შეგხვედროდა,  
ღვთისმოსავი ის „პერსონი“,  
ვით იღია,  
ბარათაშვილს,  
ან უიტმენს –  
ემერსონი.

2015



## ჰელიკონი

მითებსა და ლეგენდებს,  
ათას ზღაპარს დაურთავს  
შენი ლექსის ეს სტრიქონი –  
ჩე გოლაა<sup>1</sup> და ურთაა<sup>2</sup>  
ჩემო,  
შენი ჰელიკონი<sup>3</sup>.

1972

---

1, 2 – მთები სამეგრელოში

3 – ჰელიკონი – მთა საბერძნეთში, რომელსაც (მითის მიხედვით) ტორი დაარტყა პეგასმა და წყარომ ამოხეთა.



## ძველი კოლხეთი

ახლა სძინავს დაღლილს  
და ბევრ ომგადახდილს,  
და შენ ჩუმად ეფერები,  
ვით დედას და არა ძიძას.  
ძველს აგიგებს პონტოს პირას  
ცამდე აწვდილს, ძველ კოლხეთმა –  
თუ ოდესმე გაიღვიძა.

2014



\*\*\*

გზებზე ათსწლეულების,  
მზით მწყურვალი,  
ცით მშიერი  
ბევრი უსახელოდ მოკვდა.

და...

შენ დარჩი ნაშიერი –  
ბრძენ ქალდეველ  
ქურუმ-მოგვთა.

2011



## იუდეა

წარსულიდან ვიღაც კვიის:

– სირცხვილით მზეს როგორ  
უმზერს,

რადგან ღამის ის ბუდეა!!!

ქრისტეს ცოდვა აღევთ ზურგზე

პილატეს და

იუდეას.

1979



\*\*\*

ვარსკვლავები არ ჩანან,  
დარჩენილა სამყარო  
მარტო „ქაღდეს“<sup>1</sup> ამარა,  
ჰელიოსის იმედით.  
თუმც ხმა ისმის ან მარეს  
მეფის კოლხეთ –  
ქიმეთის<sup>2</sup>.

1973

---

<sup>1</sup> – ქაღდე – მთვარის ღვთაება ბაბილონურ პანთეონში.

<sup>2</sup> – ქიმეთი (ვიმეთი) – ეგვიპტის ძველი სახელწოდება.



**ქაღდეას და ქალაქ ურის**

ბაბილონის შენებაში

თავი აღარ დაიბერეს,

უამი ედგათ საამური:

ქაღდეველებს

და იბერებს,

ქაღდეას და ქალაქ ურის.

1967





## პოეზიის ხაღენი

უცეზ გაზოიღარა,  
ღღე გათენღა ხარეზის,  
ცა – გაბრწყინღა ეეღისეზრ.  
ღა...

შენ ვაჟამ გაღზოგიგღო  
პოეზიის ხაღენი<sup>1</sup>,  
ვით ეღიამ<sup>2</sup>,  
ეღისეს<sup>3</sup>.

1975

---

1 – ხაღენი – ზოსასხაზი.

2,3 – წინასწარზეცევეღეზი.



\*\*\*

(ვარიანტი)

მარადის ცივი და უკარება

ქარი მოვიდა და

მეთაყვანა!

ზღვას თვალცრემლიანს ექნა

მეტი-რა?!

ბაღლივით ხელში მოხოვა აყვანა,

და...

მერე უკან გამომეტირა...

2009



## მნემოსინო

ქაღდვეველთა ბილიკს მისდევ –  
სიყვარულით შემოსილი;  
ქართველის ცა გაქვს  
ნამუსად.

არ უჩივი მნემოსინის\*,  
მაგრამ გტანჯავს –  
ცხრა მუზა.

2012

---

\* მნემოსინი (ბერძ.) მესხიერების ქაღდმერთი, რომელსაც ზევსისაგან შეეძინა ცხრა მუზა.



## სიმღერები სირინოზთა

სერაფიმთა აკვანნარწევ

ღმერთკაცს,

სანამ გწყალობს მუზა,

სანამ ძაღვიძს ხშირი ღოცვა!

შენს „ფსალმუნებს“

ვერ-რას უზამს,

სიმღერები სირინოზთა.

2011



## ქართული კულტურის დესპანი

ვითარც გალა იტყოდა:

– მარადიულ ბრძოლებში

„იყავ ხმალადმართული“!

როს ეწვიე ესპანეთს,

უკვე იყავ ქართული –

შენ –

„კულტურის დესპანი“\*.

2013

---

\* 2013 წელს ვაჟა ვერისელს მიენიჭა „ქართული კულტურის“ დესპანის საპატიო წოდება.



**მთვარე –  
ბრაალის ტაპარი**

ცაში ნიადაგ კოსმიური  
ქარი...

წვიმა და ხანძარია,  
ხეხეები, მთები და ველებია.

მთვარე –

გრაალის ტაძარია,  
ვარსკვლავები – კი  
მცველებია.

1964



## შუმერებს და აქადელებს

მითები და ლეგენდები,  
ვით ნილოსთან და  
ევფრატთან,  
ძველ ფაზისთან! –  
აქაც სდევენ –  
ზიკურათთა\* აღმშენებელ  
შუმერებს და აქადელებს.

1969

---

\* ზიკურათი (აქად) – საფეხურებად აგებული უზარმაზარი საკულტო კოშკები (მესოპოტამიაში, ბაბილონში, ასირიაში).



## ზღაპრები და იგავები

ერთხელ მოხველ უფლის ნებით  
და მეორედ ნუ გსურს  
მოხვლა!

(სად აეშვი, იქ დაები!)

კოლხეთს აბრეშუმად  
მოსავს –

ზღაპრები და იგავები.

2013





## მთვარე უენი კარავი

მირიად წელზე მეტია,  
ბიბინებს მნათთა ბადახი –  
ცის ლურჯ მინდორზე  
ნორჩივით.

მთვარეა – უენი კარავი!  
და ცის ქვეშეთში არავის,  
მხოლოდ უფლის ხარ  
მორჩილი.

2010



## ეპიგრაფი

მითებსა და ლეგენდებს –  
სამყარო ვერ იტევს  
და ამკობს არშიებს.  
შევეურებ ეგვიპტეს,  
ვითარცა კოლხეთის  
ნაშობს და  
ნაშიერს.

1983



## პარადიგმები

ფრინველთ მეფის ოგვაჯეში<sup>1</sup>,  
კვერცხი რომ დევს,  
ორბი ყივის  
და ბოკვერში ღომი კუთავს!  
ვინც რომ იბრძვის,  
მარად იგებს. ცა,  
დილით მზეს სანთლად უნთებს  
შენს „ფსალმუნთა“  
პარადიგმებს<sup>2</sup>.

1994

---

<sup>1</sup> – ოგვაჯე (მეგრ.) – საბუღარი.

<sup>2</sup> – პარადიგმა (ბერძ.) – ნიმუში, მაგალით



\*\*\*

ზოგჯერ,  
განა აუგია,  
    დღეს თუ ღამე აბაცებს,  
თუ მკითხველი „დაბრკოლების  
    ქვას“ ფეხს წაკრავს...  
და მერე,  
    ოდნავ წაიბარბაცებს.

2013



\*\*\*

მთვარის მაღალ ტაძართან,  
სადაც ტყეა ოცნების,  
ძველებიც და  
ახლებიც,  
ვედრებით თუ ღოცვებით,  
უფაღს –  
მივეახლებით.

2014



\*\*\*

არსთგამრიგემ ნუ ქნას და...  
„წყალ-ღვრნით“,  
ცეცხლის ქარიშხლით,  
სამყარო რომ მოისრას!!!  
შენს იგაგურ  
„ფსალმუნებს“,  
გონი შემოინახავს,  
ვითარც სოლომონისას.

2012



## უტა

„ტაშისკარს მოადგენო თურქნი“.

კ. გამსახურდია

ტაოს კი არა,

„რუსნი“

მცხეთასთან მომდგარან, უტა!

ცხოვრებამ დაკარგა აზრი!!!

და...

ხსოვნა კლარჯის

და ზარზმის –

მიმქრალ ნადვერდალად ბუჟტავ! –

უტა!..

2008



\*\*\*

მეცხრე ცაში მყოფი იგი,  
    ღტოლვას გინელებს  
და ამიტომ ცად იურვი –  
ლოცვის –  
    მოოქროვიღ „კიბით“  
წმინდა ნილოს სინელის.

1978





## წიწამური

იგი მოკლეს!!!

ვისაც ლამპრად

სიცოცხლე და სიყვარული,

მიუძღოდა წინ მამულის.

და მას შემდეგ,

რომ თქვას კაცმა,

ქართველთათვის წიწამური,

არის გოლგოთა და

ჯვარცმა.

1989



\*\*\*

ცხოვრება –

ბრძოლაა და ყიჟინაა,

მწუხარებაა,

გარდა ღვინის.

ავის მომასწავებელი სირენაა,

ზღვა ხალხში მცურავი –

ბაღდასინი.

1963



\*\*\*

ზესკნელში მსხდარი მთიები,  
ერთიან უნდა აჰყარო,  
რომ ჩაუქროლო შორეულ  
ნისლეულში მდგარ ეპოქას!  
რადგან,  
ვით პოეტს –  
სამყარო,  
ხელისგაშლად არ გეყოფა!

2015



## ვარსკვლავების ჩანს ჭურები

სიყვარულის სადღეგრძელო,  
ჩვენს წინაპრებს  
ბევრი უსვამთ,  
ვარსკვლავების ცარიელი ჩანს ჭურები.  
შენ კი მტერთა შესამუსრად,  
გმოსავს უფლის  
საჭურველი.

2006



## ბაბილო

თხმელის ტოტებს მიჰყვება  
ცისკენ ვაზის ბაბილო<sup>1</sup>,  
სურს ეწვიოს ძველ  
კოლხეთს,  
ეგვიპტეს და ბაბილონს,  
საიდანაც ხმა ესმის:  
„სქანი გოლუაფირო!“<sup>2</sup>.

1968

---

<sup>1</sup> – ბაბილო – ყლორტი, ნეკერი, მორჩი, ნაყარი.

<sup>2</sup> – „სქანი გოლუაფირო“ (მეგრ.) – შენ შემოგველე.



\*\*\*

ვით ყოფნისა და  
არ ყოფნის,  
ბევრი არის მსურველი,  
მაგრამ მათ არ იციან,  
რომ სხვა არის სიცოცხლის  
და სიკვდილის –  
სურნელი.

2010



\*\*\*

მოვარე არა,

მზეა უფრო,

ჩემო, შენი –

შორეული წინაპარი!

ვარსკვლავების დიდ სიბრძნესთან

მიტომა ხარ წილნაყარი.

2012



**ისე, როგორც გრააღლი**

ხუთი ათასწლეულის იქით,  
ქრისტეს შობამდე,  
პონტოს სანაპიროზე –  
აცეცხლდი და ააღდი.  
და მას შემდეგ,  
შენ გრააღლის თასს დაეძებ,  
ისე, როგორც გრააღლი.

2001





## მეტეხთან

(ვარიანტი)

როდესაც ჩამოვიქროლე

მთები მცხეთის და

მამკოდის,

გაიხსნა ზეცა დახშული

და მწამს მომესმა

მეტეხთან,

გორგასლის ისრით დაკოდილ –

ხოხობის ფრთების

ტელაშუნი.

1959



\*\*\*

ზამთარია...

და სიყვითლით

მთვარე თითქოს არის ავად.

წარსულს დარდობს ცა – მითანის.

ვარსკვლავების ქვაფენილზე

მავალ „თავადს“,

ხედავს შენი სულის თვალი.

1963



**წიგნი – ამირანი**

შენს ლექსებს ცეცხლი მეტობს  
მეგრული,

მაგრამ სიღინჯე ახლავს რაჭული.  
და შენი წიგნი –  
„იქმენ ნათელი!“

წიგნი კი არა, ამირანია –  
კავკასიონის კლდეს  
მიჯაჭვული.

1993



\*\*\*

დღეს,  
ულმობელი ელვით ნატყორცნი  
ნაისრალი კი ვეღარ მოურჩა  
და მიმწუხრისას სული  
ამოძვრა!

ცას მთვარის ცალი  
ძუძუ მოუჩანს,  
ვით პონტოს ზღვაში  
მზირალ ამორძალს.

1959



**პირველი ქრისტიანო**

(ვარიანტი)

სიშორის ქვაზე აღესილი  
სხივთა მახვილით,

ცაში მთიები ჰგვანდნენ მეომრებს.  
და მეთასედ მე ვიმეორებ:

მუდამ მებრძოდა ბედი

ტიალი –

სისხლის დაწრეტა და გაშრობამდე!  
ვიყავი კოლხი...

და პირველი –  
მე ქრისტიანი,

ჯერ კიდევ როდის...

ქრისტეს შობამდე.


1961



\*\*\*

მიღმა ათასწლეულების –  
არგოსზე და  
კრეტაზე,  
ვჭკვრებ: ბერძნები არბევნ –  
ქარდავებს და  
ქაღდანებს, –  
უპირველეს ქაღდეველთ!

1991



\*\*\*

აღბათ ელოდა უამთა მოხელთვას,  
აქამდე,

ასე მყოფი უჩინრად,  
მივიწყებული ძველი კოლხეთი,  
რომელიც ეგრისს  
და საქართველოს,  
ეგრისელმა რომ გამოუჩინა!

1993



\*\*\*

ცისქვეშეთში –  
ეს ცხოვრება,  
შენთვის იყო და  
არ იყო!  
სულ გარყევდა, როგორც პიზას!!!  
შენ,  
სიცოცხლემ რაც რომ გიყო,მეტს,  
სიკვდილი რაღას გიზამს.

1983





\*\*\*

ეულევთან –  
ტყვეთა გოდება,  
    ბაზრის ყაყანი სტამბულის...  
ხსოვნის შხამ-გესლში  
ავლესე!  
    მამულის ბჭესთან დაბმული,  
მით ვიყევები –  
    ავ-ლექსებს.

1962



\*\*\*

სილაღეს და სინარნარეს –  
ქართულ სიტყვას –  
რა დაუღუღეს...  
საქართველოს მთა და ბარი –  
მისხალ-მისხალ მოიარე:  
ყურს უგდებდი ნართაულებს,  
იგავებს და  
მოიარებს.

1964



## ერთი ვარსკვლავი

მიწიდან – ცამდე უფლის ნაკურთხი,  
ო, რა შორია დრო და  
მანძილი,

ათასჯერ ელვით გასანასკვავი.

ცაში კიაფობს –

ერთი ვარსკვლავი\*,

პოეტებს ღამით რომ არ აძინებს.

2007

---

\* მსოფლიო ასტრონომთა 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, როგორც ასტროლატრი პოეტის – ვაჟა ეგრისელის სახელი ეწოდა ერთ-ერთ ახალ აღმოჩენილ ვარსკვლავს.



\*\*\*

იყო კოლხეთი...

იყო ეგრისი...

მათი გაქრობის იყო მცდელობა!!!

მაგრამ დარეკა საარმა

დილის

და... ეგრისეღის –

ეგრისეღობამ,

ბევრ პოეტს –

ღამე დაუფრთხო ძიღი.

2014



**ნეფერტიტს და ტუტანხამონს**

მეუფეთა ცისქვეშეთში,  
რადგან უამი თავის გარდა,  
ყოვლის ქცევას –  
ტუტად ლამობს,  
მაგრამ მაინც ვერრას აკლებს  
ნეფერტიტს\* და  
ტუტანხამონს.

1971

---

\* ეგვიპტის ფარაონი კოლხი ნეფერტიტი ფარაონ ტუტანხამონის დედა იყო



\*\*\*

ათასწლეულთა ლოცვა და ვედრება –  
„კოლხური ფსალმუნებით“ შეფუთვ.  
და მერე...  
დაგინდეს!

უნდობმა დღეებმაც  
ღვთის მადლით,  
„საწმისით“,  
„ეფუთით“,  
შენც შეუერთდი გრაალის რაინდებს.

1994



\*\*\*

ვერ აღმოაჩენ მეორედ ტროას,  
დიდო პოეტო,  
                  ამიტომ დროა,  
მეცხრე ცის თაღზე შეჰკრა ირაო!  
                  მარცხენა ფეხზე დაიკიდო  
ეს დედამიწა  
                  და ეს სამყარო ფლიდი და ბილწი,  
სულ ერთიანად  
                  ააყირაო...

2001



\*\*\*

წუთისოფლის ჩახმახზე –  
შემართული სიცოცხლე.  
გქონდეს, ვით იარაღი.  
სანამ მოვა სიკვდილი  
თვალცეცხლა და ახმახი!  
უსიკვდილოდ ცხოვრება,  
ჩალის ფასად არა ღირს.

2002





\*\*\*

ელვის ნაკვერჩხლით გზას  
მიიკვლევდა  
ღამე და...

მთვარის არ ჩანდა გუბე.  
მიწას არაფრის არ ჰქონდა განცდა,  
მაგრამ შორს,

სადღაც დაეჭახა  
ღრუბელი ღრუბელს  
და ცას უეცრად ქუხილი წაცდა.

1964



## პოეტი

მითებით და ლეგენდებით –  
საოცრების აღებს კარებს,  
სიცოცხლის და  
მზის მთესავი.

ქარიშხლებს და ზღვას აწენარებს  
და ზედ დადის –  
ქრისტესავით

2002



**მარდუქის ოქროს ქანდაკება  
ბაბილონში**

ქაღდებმა თავიანთ ღმერთს\* –  
დაუფასეს ამაგი და...

სულ ოქროთი ჩამოასხეს  
ქანდაკება...

ტახტი...

სკამი და  
მაგიდა.

1966

---

\* შეროდოტეს ცნობით, ექვსმეტრიანი მარდუქის ქანდაკების გარეშე, ოქროს ტახტს, სკამს და მაგიდას 24 ტონა ბაჯადლო ოქრო მოხმარდა, ხოლო მარდუქის ოქროს ქანდაკება სპარსელებმა წაიღეს და გადაადნეს!!!



\*\*\*

მძინარ ათასწლეულებს

ქცა,

გამოაღვიძა,

მერე მტვერი ადინა...

გონი ჰელიოსის ძეს,

მოსდევს რუსთაველური.

კაცი – არის ნადირი,

პოეტია – ველური.

2000



\*\*\*

ასი ავის მსურველი  
და არყოფნის მოთავე,  
დრო,  
ვით მიიმდლოვრება...  
ზღვა მწუთხე და მშფოთვარე,  
როგორ ჰგავს ჩვენს  
ცხოვრებას.

2006



✠

## რ ა შ ე ბ ი

წელი რვაასი ელოდნენ

აწვევტას და

აშვებას!

აბრმავებდა სამყაროს ელვა  
მათი ნალების.

ტორებს სცემდნენ პარნასის

დიდ მთებს შენი რაშები –  
ქარის თეთრონები და

შავრა ბუცეფალები

1998



## ქართული სულის კოლიზეუმი

სირინოზების კი არა,  
ხმა ისმის ციურ ვარსკვლავთა  
მზისფერი საღამურების,  
მიწას რომ ურუოდ უვლიან.  
და...

შენი „ფსალმუნები“ კი  
ქართული სულის  
კოლიზეუმია\*.

2001

---

\* კოლიზეუმი (იტალ. ლათ) – კოლოსალური, უზარმაზარი, უსაზღვრო



\*\*\*

აჰა,  
უკვე მეასედ,  
რაც ცამ შენში ინათა,  
მოიარე პეგასით –  
ჰიმალაი,  
ანდეზი,  
პარნასი და სინას მთა.

1992





\*\*\*

მოკვდავთა სულის საოხად,  
ვარამი აღარ ილევა,  
    ლხინის მარადი მხლებელი.  
და გელის სულის მიღევით  
„მსაჯული,  
    მსჯავრის მღებელი“. (ესაია)

1966



\*\*\*

ღამეულ ცას მეუფობს  
მთვარე გონჯი,  
საპყარი  
და ვარსკვლავეთს აოცებს.  
შენ კი ვაჟასებურად  
მზერა შიგნით მიმართე  
სულის სიღრმეებისკენ,  
სადაც სუფევს სამყაროს  
წესრიგიც და  
ქალისიც...

1972



\*\*\*

„ტაროს არკანები<sup>1</sup> და „იძინი“,  
ისევ ისე გამონებს –  
    მოდგმას დიდ იაფეცტა.  
„ბედისწერის დაფებს<sup>2</sup>“ და  
    „მე“-ს „ხეთაებრივი კანონებს<sup>3</sup>“.

1981

---

<sup>1</sup> „ტაროს არკანები“ – (ეგვიპტე) – კაბალას სახელი

<sup>2</sup> „იძინი“ – (ჩინ) – სამყაროს ცვალებადობის წიგნი

<sup>3</sup> „მე“-ს (შუმ) – „ხეთაებრივი კანონები“



\*\*\*

ეკლესიის ზარის რეკვა,  
    ჯვარცმულს ღახვრად  
გულს ესოდა,  
მიტომ ბევრჯერ დაუსტვინეს!!!  
მაინც...  
სიძის ხმა ესმოდა,  
    ვითა ნეტარ ავგუსტინეს.

1974



**საქართველო – აფხაზეთი**

„კარგის ქმნის“ მაღლი აღარ ძევს  
ქვაზე,

არსად ჩანს სიკეთის

მნახველი,

გამქრალა ისე, ვით კვაზი.

შური და მტრობა კი

თვალებს კვლავ ახელებს!

და... საქართველოს მოწყენილ

ცაზე,

ჰკიდია მთვარე –

დამოკლეს მახვილი.

1992



## საწმისი და ბრაალი

შენი ოქროს ფრთებია  
„საწმისი“ და  
„ბრაალი“.  
და... უცებ რომ მოკურცხლო!  
სამოთხე –  
რა არის?!  
არც ჯოჯოხეთია უცხო.

2014



\*\*\*

მხოლოდ ცოცხალს!  
ბრძენს უთქვამს,  
მკვდარს სიკვდილიც  
არ ევარობს.

ზე-ცა არის  
ჩვენს სულთა,  
უსასრულო –  
სამყარო.

1983



\*\*\*

მტკვარი როცა კრწანისის ველს  
ჩაუვლის,  
უმატებს სვლას,  
ღელვასაც და  
ბორგვასაც,  
რადგან ახსოვს მტერთა გულში  
ნადები.  
თბილისი კი შესციცინებს  
გორგასაღს  
და ჩაესმის ჩახა-ჩუხი ჩუგლუგთა,  
ხათხა-ხუთქი  
რვალის მუზარადების.

1966





## ბერბერები

(ვარიანტი)

ქართველებო! –

თუმც ცოტა ვართ,

მაგრამ მე კი მებევრებით,

რადგან თავზე უკვდავების

ქუდი გხურავთ,

რომ აღჟირში ძველ კოლხურად,

კვლავ უქცევენ –

ბერბერები\*.

2006

---

\* “ბერბერები – კოლხების (ქართველების) ისტორიულად მონათესავე ტომი. 33 მილიონიანი აღჟირის მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენენ, რომლებიც საკუთარი კულტურის დამცავები არიან გაზეთი „ალია“ 2006 წლის 11 აპრილი.”



## ავგუსტინემ და აბრამმა

იელვა და „საღმრთო ნისლმა“,  
ურწმუნონი შიშისაგან  
დააბრმავა.

და... „უშრეტი ნათლის“  
სვეტი,  
მეც ვიხილე,  
ვითარც მოსემ,  
გედეონმა,  
ავგუსტინემ და აბრამმა.

1966



\*\*\*

პონტოს ზღვით ამოფრქვეული,  
აფრიკასა თუ არქტიკას,

არ იცი სად ირიცხები.

შენი გონი სად თარეშობს...

შენი „ციური ნადავლი“ –  
უშქარი,

უანგარიშო,

არ ძალუძს მათემატიკას,

მოაწესრიგოს რიცხვებით.

1972



## შუმერ-ქალდეველების

ადამის ძის ნაშერთ –  
ერთმანეთი უყვარდათ!  
(ახლა ერთურთს არ ყვარობს!!!)  
აღსავლიდან – დასავლით,  
მაშრიყიდან – მადრიბით,  
მთებითა და ველებით –  
ერთი იყო სამყარო,  
შუმერ-ქალდეველების.

1973



\*\*\*

სადღაც დავიწყებაში –  
მძინარ ათასწლეულთა  
ხსოვნის კარებს შენ აღებ!  
შენ –  
კოლხეთში დაექვ  
უფლის ბაღს და  
მებაღეს.

2011



\*\*\*

ისე, ვითა მაცხოვარი  
აიწიე და ამაღლდი –  
მიწით-ცამდე!  
მწამებლებთან არა,  
„წილი“ არ იყარო!  
იმათ გულის გასახეთქად,  
კიდევ სცადე,  
რომ სამყარო ჯოჯოხეთით,  
სამოთხეში გაიყვანო!

2012



## ეგრისელის ვარსკვლავი

ხმამ დიდებულმა და  
გამეივარმა,  
დავიწყებდნ კვლავ გამოიხმო,  
„კოლხთა“ მრავალი ათასწლეული.  
და... ეგრისელის –  
ცაში მბრწყინავემა  
„ვარსკვლავმა“ –  
დაბლა დედამიწაზე,  
ძილი დაუფრთხო –  
შურით სნეულებს.

2007



\*\*\*

ადამის ძეს უხდება,  
უფლის ნათლით შემოსვა,  
როგორც ქრისტეს ნათლული  
უნდა იყოს მენცარი  
და წუხდეს სიმარტოვეს.  
რა ფასი აქვს შენს მოსვლას,  
თუკი აღარ შეცვალე  
და სამყარო რაც იყო,  
ისეთივე დატოვე!

1996





## ტყვიის ექო

ლორკას მკვლელი ტყვიის ექო –  
ზვირთად მიაქვს გვადაღკივირს  
და აწყდება მადრიდსა და  
გვადაღახარს;  
მთელ ესპანეთს გადაჰკივის...  
მერე მიღეთს –  
გადაღახავს.

1983



\*\*\*

სულის ფრთებით ვინც მიწვდა  
და ნათელი იხილა  
    (დუმს და აღარ საუბრობს)  
სწორედ იმან შეიცნო,  
    გონი ჭეშმარიტების  
და ზე-ცათა  
    საუფლო.

2001



\*\*\*

მეხი ხანდისხან ხმას დაიბოხებს,  
მაგრამ ჩურჩული არ ისმის  
ღრუბლის.

და სივრცეები ჰგეანან ზმანებას.  
ცა – ვარსკვლავებით  
მოჭედილი –

ტახტია უფლის  
და უამს ცისკრისას მოელიან  
მის მობრძანებას.

1961



\*\*\*

სალამურად ჩაგესმება

გვიან...

მიმწუხრისას როცა –

ხმები მედინის და მექის,

წამს,

ზე-აგამადლებს ლოცვა,

ვედრება კი ზეცად შეგქმნის.

1979



## რაშოვდა

„ჩვენისთანა ბედნიერი,  
განა არის სადმე ერი?!“  
ილია

თავზე ათასწლეულები

გვაწვიმდა და

გვათოვდა...

მაინც გუშინდელს ვუმღერით!!!

რაშოვდა!

გვეავდა ერთადერთი „შუმერი“\*,

ისიც ვერ ვიგუეთ და

გაგვშორდა...

„დილა, ვოდე, ლივო დილა, რაშოვდა“.

2015

---

\* “შუმერი“ – იგულისხმება საქართველოს სახალხო არტისტი, შუმეროლოგი ზურაბ ქაფიანიძე.

\*\*\*

სულ სხვა არის ჩემი ცა,  
სადაცა მაქვს ჩაფლული  
ღვინითა და ღოცვებით  
საესე მნათთა ლაგვანი,  
ამიტომ თქვენ –  
„ქვენა ხართ,  
მე კი ზენათაგანი“ (იოანე).

1977



## ზღვა და ხმელეთი

როცა კოცნა მოუნდომა,  
სიყვარულით ხელი ჰკრა და...  
ახლა მისკენ იწვიდის ხელებს.  
-შეხე,  
როგორ ჰყვარებით  
ერთმანეთი ზღვას და ხმელეთს.

1963



**ექა, ქვეყანავ ლაზე-ჭანების**

ერთხელ კი არა,  
    ლამის ათასჯერ,  
გადაიგრგვინა ჩვენს თავზე მესმა!!!  
ჩემი იყავი,  
    სხვისი ხარ ეხლა!!!  
ქვეყანავ ჭანების და ლაზების.  
    რაღა ვქნა..  
მაინც –  
    მე შორიდან მელამაზები.

1964





\*\*\*

პონტოს სანაპიროზე –  
რემას ათასწლეულთა,  
ისევ ისე მოდენი:  
ერთადერთი რაინდი,  
კოლხთა „ოქროს საწმისის“  
და „გრალის ორდენის“.

2014



\*\*\*

სხვა ყველაფერს...

მაგრამ მე,

სიკვდილს ვერ მოვერევი.

ადარ მინდა სამოთხე

და არც სულის ცხონება!

ოღონდაც შენ აყვავდი...

განაცვალებ ორივეს –

ამა და იმ ქვეყნიურ –

ღვთის ნაბოძებ ცხოვრებას.

2009



\*\*\*

დღე-ნიადაგ მიგელის  
უცხო ჰორიზონტები,  
მეცამეტე ცის იქით –  
ისევ ცაა – კოსმიური,  
და კომეტებს სრბოლაში –  
აღბათ გადაამეტე!  
დღიდან გამოქცეული,  
ღამის იქით იურვი...  
შიში უდგათ თვალებში  
ცას და...  
უცხო პლანეტებს.

1983



\*\*\*

სადღაც,

ცივ სიშორეში,

რეკს სიჩუმეც,

ტაშიცა.

შენ კი, როგორც ლაობი,

ისევ ისე დაეძებ

ღმერთში ღმერთს და

ცაში ცას.

2001



\*\*\*

მჭახე ხმები მოისმის –  
    ცისქვეშ ღამის მთევვლთა!  
შენ კი ბნელთ მოსილი,  
შორის –  
    ფარისეველთა,  
ზიხარ გნოსტიკოსივით\*.

2012

---

\* გნოსეოლოგია (ბერძ) – ცოდნა და მოძღვრება, შემეცნების თეორია



\*\*\*

აქაც და იქაც...  
რადგან ყოფნა არის ორგვარი!  
უნდა ავწიოთ წიგნი,  
როგორც შესანდობარი –  
გადავიწყების ნისლით დანისლულ  
ბრძენის,  
პოეტის და  
მწიგნობარის.

1994



\*\*\*

ნათლის ბნელში აღმართულან –  
სიხარულის მწვერვალები  
და შენ ყოფნას გაადვილებს,  
წარსულ დღეთა მღელვარება,  
ოცნება და  
სინამდვილე!

2014



## ჰომეროსს და ჰელიოსს

აქ –

კოლხური „კირბები“

იქ – ინდური „ვედები“,  
ორივე ქალდეველებთა  
ღობე-ყორეს ედება.

და შენც იმ გზით მიდიხარ...

(თითქოს მზე დაგელიოს!)

რა გზებითაც უვლიათ,

იმ „უნივთო ნათელში“,

ჰომეროსს და

ჰელიოსს.

1979





\*\*\*

სხვა პლანეტიდან შემოპარული

აქ,

სხვა ქარები ქრიან

ფარული...

აქედან მზეც და მთვარეც ახლოა,

ცა –

ვარსკვლავებით შემოსარული –

მარადიული –

შენი მკვიდრი სამოსახლოა.

1967



5 700

ხუთი ათას შვიდასი,  
    ძველ წელთა აღრიცხვით,  
ბაბილონის დანგრევას  
    ჯერ პირი არ უჩანს!!!  
...ლაზარეს აღდგინებას ველი მწირი,  
რადგან ადამი –  
    წარღვნას გადაურჩა,  
„ქართულითა ენითა უამი შეიწირვის“.

1974



\*\*\*

მთავარ ანგელოზი მიქაელ  
ჰფარველობთ...

ამიტომ სიკვდილი,  
აღარ ჰგონიათ საშინელი.

მათ არც სწყურიათ  
და არც შიათ!

ხარობენ, – რომ მეცხრე ცაშია,  
ადამის ძეთა საფუძვინელი.

2013



\*\*\*

ვით მთვარე და მთიები,  
ჩემი წილი მზეც მინდა –  
სადარღო და  
საოხი.  
და... მომესმის ზეციდან –  
„მე ვარ ანი და  
ოხი“.

1966



## კასტელის და ლამბერტის

აიეტის კოლხეთში

ცხოვრობდნენ და...

დაბერდნენ...

და მათ სიტყვას უამთასვლის

ბინდიც ვეღარ ანელებს...

„აფხაზთ“, –

ქართველობაზე

წერს: კასტელიც<sup>1</sup>,

ლამბერტიც<sup>2</sup>,

ჯონ ჯუზეპე დუდიჩე –

იგივე –

მიდიანელი<sup>3</sup>.

1979

---

1, 2, 3 – იტალიელი მისიონერები.



\*\*\*

მზის დანატოვარი

ზე-ცაა

საჰარა...

და მთვარე ჰკიდია უტარო,

ვით თოხი ოყიანი.

შენი „ფსალმუნები“ –

ზღვა არა,

არის ოკეანე.

1998



## ქაღდესი და ამონის

გვიან...

მაინც გაიხსნა,

ცხრა ცის –

ცხრავე კარიბჭე.

ხსოვნამ შემოგანათა

ქაღდესი<sup>1</sup> და

ამონის<sup>2</sup>.

ღმერთმა შენ მოგანიჭა –

ქრისტეს რწმენა და

გონი.

1973

<sup>1</sup> – ქაღდე – მთვარის ღვთაება ბაბილონის პანთეონში.

<sup>2</sup> – ამონი – ძველ ეგვიპტელთა ღვთაება (ძვ.წ. XXI ს.)



\*\*\*

ურწმუნოთა ქვეყნიდან –  
    ღამეულ გზით მოსული;  
ვითარც სირინოზები,  
    ოქროსფერ ქნარს არხევდნენ  
და ღვთის ჭერს გარიდებდნენ!  
მაინც მთაზე ქორიბის,  
    ილოცე და ახვედი –  
კიბით ჭეშმარიტების

1977





\*\*\*

შუა ღამის ცივ სიჩუმეში,  
კვლავ გავარდა სადღაც  
ფილთა!  
შეკრთა ტყე და წიფლის მორჩი<sup>1</sup>  
კენესა ისმის დოფაჩილთან<sup>2</sup>  
ტყაშმაფას<sup>3</sup> და  
ონოკონის<sup>4</sup>.

1960

---

1 – მორჩი – ყლორტი, ნეკერი.

2 – დოფაჩილი – ღველე სამეგრელოში.

3 – ტყაშმაფა (მეგრ.) – ტყის დედოფალი.

4 – ონოკონი (მეგრ.) – ტყის კაცი.



\*\*\*

შენ,

„კოლხური ფსალმუნები“ –

იქ – იმდერე...

აქ – ილექსე...

უამიც გქონდა საკმარისი,

მაგრამ მაინც გელანდება –

გმირთა-გმირი აქილევის

ფარი...

ქუსლი...

და პარისი.

2014



## ეტანა

გსურდა დედამიწა რომ  
კუზიანი მთებით და  
გულქვა ოკეანებით –  
ცაში რომ აგეტანა!  
და გეცხოვრა ნეტარად –  
იქ,  
ისე ვით „ეტანას“.

1968

---

\* ეტანა – აქადური ლეგენდის გმირი.



\*\*\*

ფიქრი ტრანსცენდენტური  
გმოსავს კაცობრიობის...  
სადღაც,  
უცხო სფეროზე  
მოვარესავით ეული –  
მიგაქანებს იოგის –  
სულიერი სხეული.

2010



## ბაღი სემირამიდის

წუთისოფლის შარაზე –  
მზე და მთვარე შებმული  
დრო მიჰქროდა...  
მოჰქროდა...

იღვა კარგი ამინდი.  
და ჰყვოდა ოქროსფრად:  
კოლხეთს –  
ბაღი მედეას,  
ქიმეთს\* – სემირამიდის.

1971

---

\* ქიმეთი – ეგვიპტე.



\*\*\*

ადამის ძის გუარ-ტომი,  
ერთად უნდა ავეყარო!!!  
რადგან დედამიწაზე,  
არავინ ჰყავს პატრონი,  
ობოლია –  
სამყარო.

1966



სარჩეზო

*** შენ პოეტი ხარ... ..	25
რუსტინე, ბესა და მარტინე.....	26
ღარიოს I, კიროს II.....	27
*** (მემღურის იგი!).....	28
ისეე ხეთაში.....	29
ბიბლია და რეგვედა.....	30
გაბრიელი და ნიკოლოზი.....	31
*** ეექსინის პონტოს... ..	32
კრიპტოზოურ ეონის.....	33
*** (ჟამთა რისხვამ ძვრა ვერ უყო).....	34
*** (ქაღდეური სიბრძნის გონი).....	35
მოწამეთა.....	36
*** (შორით მიმავალ საუკუნეებს).....	37
ქართლის პიტიახშეები.....	38
კოლხური ბაღი.....	39
*** (შენი გონი ციური).....	40
*** (შენ არა ხარ ნაშიერი).....	41
*** (ოქროს ჩლიქებიანის).....	42
გიზას, მემფისს, საკარას.....	43
*** (აიეტის დიდ კოლხეთის).....	44

*** (აღარ გაშინებს მძვინვარება).....	45
უკანა ფშავში.....	46
*** (მილიონი წლის იქიდან).....	47
ადამი და ნოე.....	48
აფხაზეთი – 1992.....	49
*** (უხილავმა).....	50
კოლხური ანბანი.....	51
კოპალა და იახსარი.....	52
ტობალებს და ტიბარებს.....	53
*** (მთებში ჩამოდგა მაისი).....	54
ენგური.....	55
*** (თუმც პოეტების არის მრავლობა).....	56
*** (მიყვარხარ!).....	57
*** (სცილას გამოეპარე!).....	58
*** (წყარო ამოწუნწუნდა).....	59
ბაბილონის გოდოლი.....	60
„ეფუთი“, „ბიბლია“.....	61
*** (პონტოს სანაპიროზე).....	62
15 მაისი.....	63
მარტყოფი – 1625.....	64
ფრიქსე და იაზონი.....	65
მზის ხარი.....	66



ფაზისი .....	67
*** (აიეტის კოლხეთმა).....	68
*** (მეცხრე ციდან ჩამოფრენილთ).....	69
*** (გამკრთალი ელვის ბილიკით).....	70
მითრა .....	71
ისევ „კოლხური ფსალმუნები“ .....	72
*** (ვეფრატის და ტიგროსის პირს).....	73
ისევ მოლოდინი .....	74
*** (ქინქლებივით ცაში რომ ირევიან)....	75
ხილვა: ნანა დედოფალი .....	76
ხილვა: ბურნაბური და ქადეშმანი .....	77
ხილვა: სიდონია აბიათარის ასული.....	78
*** (რაც ზამთრის სუსხს გადაურჩა).....	79
ბაღი სემირამიდის.....	80
პაემანი.....	81
როგორც მეფე ადერკი .....	82
მელია – ტელეფია.....	83
*** (ბობოქარობ...)	84
*** (ვჭკერეც ოლიმპოს მაღალ მთას).....	85
ქალდეველთა მაგია .....	86
ქალდეური მზე .....	87
ქართული ენა აღსდგა მკედრეთიდან.....	88

*** (ნათელს მარადისობის).....	89
ისევ და ისევ კოლხეთი.....	90
მარდუქი .....	91
*** (წარსულში არა).....	92
შუმერი და აქადი .....	93
ორაკული.....	94
*** (სურს, რომ გასაგისი ამოგიქროს)....	95
შკვითული.....	96
ტკბილ-კოლხური ღურჭული .....	97
კირკე – ნანა – რეა-კიბელა .....	98
ემერსონი, უიტმენი .....	99
ტომას მორი .....	100
ბაგრატიონი.....	101
ხილვა: იტალია, მესამე ათასწლეული....	102
პანტოგრაფი .....	103
ტორეტებს და კერკეტებს.....	104
*** (ვარსკვლავებით მოჭედილი).....	105
სოკრატე და ისოკრატე.....	106
უზვი, უსხი, უაბი.....	107
*** (ომების კვამლით თვალებდა-მწვარმა).....	108
ტანკას, ხაკუს და გუნდაის.....	109
*** (ძველი რითმის წრიაკებით).....	110

ცაღპები და.....111  
 \*\*\* (ფაფარაშლილმა ათასწლეულებმა)..112  
 ეპიფიზი .....113  
 ქაღდეველებს ეკუთვნის.....114  
 ხილვა: „ბაგრატუნები“ (ბაგრაციონები)....115  
 \*\*\* (მიღმა უამთა სიშორის) .....116  
 \*\*\* (შენი ღექსები).....117  
 \*\*\* (იდუმალების ხმები ჩაგესმის).....118  
 \*\*\* (მზის კოცონზე მიინავლა).....119  
 \*\*\* (შორეთს მიმავალი გზა).....120  
 ეგრის წყალმა და ქედმა ეგრის .....121  
 სამყარო პოლიგლოტია.....122  
 \*\*\* (მოკვდავთ ღოცვა).....123  
 მუსხნი, მოსხნი, მოსინიკი .....124  
 არიებს და მატიენებს.....125  
 \*\*\* (ადამის ძეგ!).....126  
 სანები და ღაზები .....127  
 ჰანიბალის ღაშქრობა .....128  
 ქიოსელი ქაღები .....129  
 \*\*\* (განა მარტო ქართველის ცა).....130  
 \*\*\* (ჯერ ბერძნები არ ჩანან...) .....131  
 \*\*\* (დავკარგე!).....132

სალვადორ დალი .....	133
ორი სურათი.....	134
ანაკრეონტის ხმა .....	135
პრემია – 100 000.....	136
ნაბუქოდონოსორი .....	137
პერსონა რატა.....	138
ჰელიკონი.....	139
ძველი კოლხეთი.....	140
*** (გზებზე ათსწლეულების).....	141
იუდეა.....	142
*** (ვარსკვლავები არ ჩანან).....	143
ქალღვას და ქალაქ ურის .....	144
პოეზიის ხალენი .....	145
*** (მარადის ცივი და უკარება).....	146
მნემოსინი.....	147
სიმღერები სირინოზთა .....	148
ქართული კულტურის დესპანი.....	149
მთვარე – გრაალის ტაძარი.....	150
შუმერებს და აქადელებს.....	151
ზღაპრები და იგავები.....	152
მთვარე შენი კარავი.....	153
ეგვიპტეში.....	154

პარადიგმები.....	155
*** (ზოგჯერ).....	156
*** (მთვარის მაღალ ტაძართან).....	157
*** (არსთგამრიგემ ნუ ქნას და...).....	158
უტა.....	159
*** (მეცხრე ცაში მყოფი იგი).....	160
წიწამური.....	161
*** (ცხოვრება).....	162
*** (ზესკნელში მსხდარი მთიები).....	163
ვარსკვლავების ჩანს ჭურები.....	164
ბაბილო.....	165
*** (ვით ყოფნისა და).....	166
*** (მთვარე არა).....	167
ისე, როგორც გრაალდი.....	168
მეტეხთან.....	169
*** (ზამთარია...).....	170
წიგნი – ამირანი.....	171
*** (დღეს).....	172
*** (ცისქვეშეთში).....	173
პირველი ქრისტიანი.....	174
*** (აღბათ ელოდა ჟამთა მოსეგლთვის).....	175

*** (ცისქვეშეთში.....)	176
*** (ყულევთან).....	177
*** (სილაღეს და სინარნარეს).....	178
ერთი ვარსკვლავი.....	179
*** (იყო კოლხეთი.....)	180
ნეფერტიცს და ტუტანხამონს.....	181
*** (ათასწლეულთა ლოცვა და ვედრება).....	182
*** (ვერ აღმოაჩენ მეორედ ტროას).....	183
*** (წუთისოფლის ჩახმასზე).....	184
*** (ელვის ნაკვერჩხლით გზას).....	185
პოეტი.....	186
მარდუქის ოქროს ქანდაკება ბაბილონში.....	187
*** (მძინარ ათასწლეულებს).....	188
*** (ასი ავის მსურველი).....	189
რაშები.....	190
ქართული სულის კოლიზეუმი.....	191
*** (აჰა).....	192
*** (მოკვდავთა სულის საოხად).....	193
*** (ღამეულ ცას მეუფობს).....	194
*** („ტაროს არკანები და „იძინი“).....	195

*** (ეკლესიის ზარის რეკვა).....	196
საქართველო – აფხაზეთი.....	197
საწმისი და გრაალი.....	198
*** (მხოლოდ ცოცხალს!).....	199
*** (მტკვარი როცა კრწანისის ველს).....	200
ბერბერები.....	201
ავგუსტინემ და აბრამმა .....	202
*** (პონტოს ზღვით ამოფრქვეული).....	203
შუმერ-ქალდეველების.....	204
*** (სადღაც დავიწყებაში).....	205
** (ისე, ვითა მაცხოვარი).....	206
ეგრისელის ვარსკვლავი .....	207
*** (ადამის ძეს უხდება).....	208
ტყვიის ექო.....	209
*** (სულის ფრთებით ვინც მიწვდა).....	210
*** (მეხი ხანდისხან ხმას დაიბოხებს)....	211
*** (საღამურად ჩაგესმება).....	212
რაშოვდა .....	213
*** (სულ სხვა არის ჩემი ცა).....	214
ზღვა და ხმელეთი.....	215
ეპა, ქვეყანავ ლაზებ-ჭანების.....	216
*** (პონტოს სანაპიროზე).....	217

*** (სხვა ყველაფერს...)	218
*** (დღე-ნიადაგ მიგელის)	219
*** (სადღაც)	220
*** (მჭახე ხმები მოისმის)	221
*** (აქაც და იქაც...)	222
*** (ნათლის ბნელში აღმართულან)	223
ჰომეროსს და ჰელიოსს	224
*** (სხვა პლანეტიდან შემოპარული)	225
5 700	226
*** (მთავარ ანგელოზი მიქაელ)	227
*** (ვით მთვარე და მთიები)	228
კასტელიც და ლამბერტიც	229
*** (მზის დანატოვარი)	230
ქალდეისი და ამონის	231
*** (ურწმუნოთა ქვეყნიდან)	232
*** (შუა ღამის ცივ სიჩუმეში)	233
*** (შენ)	234
ეტანა	235
*** (ფიქრი ტრანსცენდენტური)	236
ბალი სემირამიდის	237
*** (ადამის ძის გვარ-ტომი)	238



מכתב

"האגודה הישראלית לטיפול בילדים" 100-8000000000  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם, חינוכם  
והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים, במסגרת  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם,  
חינוכם והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים.  
"האגודה הישראלית לטיפול בילדים" 100-8000000000  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם,  
חינוכם והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים.  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם,  
חינוכם והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים.  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם,  
חינוכם והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים.  
האגודה הישראלית לטיפול בילדים, פועלת להגנתם,  
חינוכם והתפתחותם של ילדים בעלי צרכים מיוחדים.

מכתב



2020.08

ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 16

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 16

გამომცემლობის

რედაქტორი

– ბელოდი ფოცხიშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ანა კალანდიაძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com